# მესხეთის უნივერსიტეტი

№1-2 (277) იანვარი-თებერვალი, 2022 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან


# მომავალი სტუდენტი — 2022!

## სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი – აბიტურიენტთა საუკეთესო არჩევანი!

## გადადგით ნაბიჯი წარმატებისკენ!


**მაკა ბერიძე**
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი**


**ჩვენ** შეგვიძლია გავუმკლავდეთ გამოწვევებს ისე, რომ შევინარჩუნოთ სწავლების ხარისხი. ყველაზე რთულ დროს შეგვიძლია ვიფიქროთ თითოეული სტუდენტის საჭიროებაზე, მის მოთხოვნილებებზე. ჩვენ ვიღებთ საჭირო გადაწყვეტილებებს, რომელთა განხილვაში აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტები. ჩვენ ვუსმენთ ერთმანეთს, ვითვალისწინებთ ერთმანეთის აზრს, ვავითარებთ უნივერსიტეტს და მუდმივი სიახლეებით არ ვწყვეტთ პროგრესს.

ეს არ არის დაპირება ან მხოლოდ სიტყვები, ეს ფაქტებია, რომელთაც ადასტურებს გავლილი გზა და გაკეთებული საქმეები.

შესაბამისად, ყოველწლიურად იზრდება იმ აბიტურიენტების რაოდენობა, რომლებიც სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ირჩევენ. ყველა მიმართულებით გამორჩეული არიან ის სტუდენტები, რომლებიც სწავლაში ძალისხმევას არ იშურებენ, რადგან უნივერსიტეტში ფასდება შრომა, წახალისებულია ინიციატივა, უნივერსიტეტი სულდგმულობს და საზრდოობს ახალგაზრდული ენერგიით.

როდესაც ვამბობთ სიტყვას „ჩვენ“, ყოველთვის ვგულისხმობთ პროფესორსა და სტუდენტს. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებით თქვენ ხდებით თანამედროვე, განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილი, გაქვთ შესაძლებლობა, მიიღოთ ხარისხიანი განათლება და, რაც ასევე მთავარია, თვითონ შექმნათ საკუთარი მომავალი.

აირჩიეთ მომავლის უნივერსიტეტი და შექმენით მომავალი, გადადგით ნაბიჯი წარმატებისკენ, აიღეთ პასუხისმგებლობა, დაწეროთ საკუთარი სტუდენტური ცხოვრების ისტორია!





## ღირებულებები:

- თავისუფლება
- ეროვნულობა
- ტოლერანტობა



## დაარსების ისტორია და მიზანი

- 1990 წელს დაარსდა, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი.
- მისი შექმნა განაპირობა აღმავალი ეროვნული მოძრაობის საფუძველზე ჩამოყალიბებულმა საერთო საზოგადოებრივმა აზრმა.
- სხვადასხვა დროს თსუ ახლციხის ფილიალს ეწოდებოდა მესხეთის ფილიალი, ახალციხის ინსტიტუტი, სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტი.
- 2014 წლიდან გახდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- 2002 წელს, ახალციხის ფილიალის წარმატებულმა საქმიანობამ განაპირობა ახალქალაქში უმაღლესი დაწესებულების ჩამოყალიბება.

## ისწავლე რეგიონში არსებულ ერთადერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში



### აკადემიური პერსონალი




სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, აკრედიტებული სასწავლო პროგრამებით, რაც შენი ხარისხიანი განათლების გარანტია.



## განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ფაკულტეტის მიზანია, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე.





## იურიდიული ფაკულტეტი



- ფაკულტეტზე არსებული პროგრამების მიზანია მომზადოს კონკურენტუნარიანი კადრი.
- სტუდენტები გადიან სასწავლო პრაქტიკას სასამართლოში, ადვოკატურაში, საგამოძიებო ორგანოებში, საადვოკატო ბიუროებში.

### საბაკალავრო პროგრამები:

- სამართალი

სწავლის ღირებულება 2250 ლარი

სახელმწიფო დაფინანსებით

- საჯარო მმართველობა

## განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

### საბაკალავრო პროგრამები:

- ქართული ფილოლოგია
- ისტორია
- ინგლისური ფილოლოგია

სწავლის ღირებულება 2000 ლარი

### სამაგისტრო პროგრამები:

- ქართველური ენათმეცნიერება
- ქართული ლიტერატურის ისტორია

### სადოქტორო პროგრამა ქართული ფილოლოგია მოდულები:

- ქართველური ენათმეცნიერება
- ქართული ლიტერატურა

სწავლის ღირებულება 500 ლარი

### დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა

სახელმწიფო დაფინანსებით

## ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

- ფაკულტეტის პრიორიტეტია კვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც ცოდნის რეალიზაციას მოახდენენ პრაქტიკულად ან გააგრძელებენ სამეცნიერო საქმიანობას.
- ფაკულტეტი საყრდენად ირჩევს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და პროცესი მორგებულია ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

### საბაკალავრო პროგრამები:

- ბიზნესის ადმინისტრირება

სწავლის ღირებულება 2250 ლარი

სახელმწიფო დაფინანსებით

- ეკონომიკა

### სამაგისტრო პროგრამები:

- ბიზნესის ადმინისტრირება

სწავლის ღირებულება 2000 ლარი

### სადოქტორო პროგრამა:

სწავლის ღირებულება 500 ლარი

- ეკონომიკა



## ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი




- ფაკულტეტზე წარმოდგენილია სპეციალობის შესაბამისად აღჭურვილი თანამედროვე ლაბორატორიები.
- 2020 წლიდან ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ვეტერინარიის ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

### საბაკალავრო პროგრამები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიები
- ეკოლოგია
- აგრონომია

სწავლის ღირებულება 2000 ლარი

- ვეტერინარიის ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სახელმწიფო დაფინანსებით

### სამაგისტრო პროგრამები:

- ასტრონომია
- ბიზნეს-ინფორმატიკა
- აგროტექნოლოგია

### სადოქტორო პროგრამები:

- ინფორმაციული ტექნოლოგია
- აგრონომია

სწავლის ღირებულება 500 ლარი

## კვლევითი საქმიანობა

ხორციელდება შემდეგი სადოქტორო პროგრამები:

- ქართული ლიტერატურა
- ქართველური ენათმეცნიერება
- ინფორმაციული ტექნოლოგიები
- ეკონომიკა
- აგრონომია

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, გამოიცემა:

- სამეცნიერო ჟურნალი „გულანი"
- პოპულარულ-სამეცნიერო ჟურნალი „არავი"

სასწავლებელი აქტიურად მონაწილეობს და მასპინძლობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს



## პროფესიული განათლება



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, მრავალეროვანი მოსახლეობის ინტეგრაციის ხელშეწყობა პროფესიული განათლების კუთხით და რეგიონისთვის საჭირო კადრის მომზადება.

- უნივერსიტეტში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინტერნაციონალიზაციასა და პარტნიორულ ურთიერთობებს.
- მნიშვნელოვანია ევროპული სტანდარტების გაზიარება.
- საერთაშორისო პროექტებში ჩართვა.








## საერთაშორისო ურთიერთობები

პარტნიორი უნივერსიტეტები




## სტუდენტთა კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრი

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 2015-2020 წწ:

- 2016 – 28.04%
- 2017 – 19.63%
- 2018 – 18.38%
- 2019 – 18.69%
- 2020 – 15.26%

**საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა 90% დასაქმებულია**

დასაქმების სფეროები




## უნივერსიტეტის გამომცემლობა

დაბეჭდილია ტირაჟი:

| | |
|---|---|
| 83 წიგნი | 9310 |
| 50 ჟურნალი | 7015 |



## გაზეთი „მესხეთის უნივერსიტეტი"

1990 წლიდან დღემდე




## მუზეუმი



მიზნები

- შესაბამისი პროფილის სამუზეუმო საგნების მოძიება.
- რესტავრაცია და კონსერვაცია.
- სამუზეუმო მასალების გაცნობა.
- ექსპოზიციების მოწყობა.
- სამუზეუმო საგნების სათანადო წესებით აღრიცხვა და შესაბამის პირობებში მათი შენახვა და დაცვა.






## სამეცნიერო ბიბლიოთეკა



ბიბლიოთეკა განთავსებულია სამივე კორპუსში



სრულად აღჭურვილი ბეჭდური და ციფრული რესურსით



## სტუდენტები ვაქცინაციის კამპანიას შეუერთდნენ







## კულტურა და სპორტი





















2 აგვისტოს, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმში დღესასწაული „ილიაობა" გაიმართა.













10 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს საფრანგეთის საელჩოსთან არსებული საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი ესტუმრა და საფრანგეთში სწავლის შესაძლებლობებზე სტუდენტებს ინფორმაცია მიაწოდა.



20 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა დღისადმი მიძღვნილ კვირეულს შეუერთდა. ლონისძიებაზე სტუდენტებმა დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის გაკვეთილი ჩაატარეს და ახალციხის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგებისგან რჩევები და რეკომენდაციები მიიღეს.





**ოცნების ასრულება შესაძლებელია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად!**

**გ ე ლ ი თ !**

# ახლადარჩეული დეკანის ხედვები და სამომავლო გეგმები

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე, ფაკულტეტის საბჭომ, 14 თებერვალს, 4 წლის ვადით, ასოცირებული პროფესორი დავით ხობელია აირჩია. ბატონი დავითი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011 წლიდან იკავებს ასოცირებული პროფესორის თანამდებობას. სხვადასხვა დროს, მუშაობდა სდასუ-ს, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შსს აკადემიის, გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის, საქართველოს საავიაციო ინსტიტუტის, მარკეტინგული და მედია კომუნიკაციების ინსტიტუტის, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტის, სასწავლო უნივერსიტეტის – იბერიას, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და და სპორტის აკადემიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2007-2010 წელს მიენიჭა თსუ-ს სამართლის დოქტორის ხარისხი. არის 36 სამეცნიერო სტატიის ავტორი და 3 სახელმძღვანელოს თანაავტორი.

საინტერესოა ახლადარჩეული დეკანის ხედვები და სამომავლო გეგმები, ფაკულტეტის განვითარებასთან დაკავშირებით.

***– ბატონო დავით, გილოცავთ დეკანის თანამდებობის დაკავებას. თქვენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში წლების განმავლობაში კითხულობთ ლექციებს. წერილის დასაწყისში, თქვენი პიროვნება, ნაწილობრივ, წარვუდგინე მკითხველს. გთხოვთ, მოგვიყევით, თქვენი სამეცნიერო კვლევის სფეროს შესახებ.***

– პირველ რიგში, მადლობას გიხდით მოლოცვისათვის. მოკლედ გიპასუხებთ, რომ ჩემი კვლევის სფეროა ადმინისტრაციული სამართალი. ბოლო პერიოდის კვლევები ეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს. ვინაიდან დღეს მოქმედი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი მიღებულია ჯერ კიდევ 1984 წელს, მიუხედავად მასში შესული ცვლილებებისა, აღნიშნული კოდექსი ვერ პასუხობს თანამედროვე დემოკრატიულ მოთხოვნებს. აგრეთვე, კვლევების ნაწილი ეხება ადმინისტრაციულ იუსტიციას, ვინაიდან ეს მექანიზმიც დასახვეწია. აღნიშნულ პრობლემას ეძღვნება რამდენიმე სტატია, სადაც ჩემ მიერ ხდება ადმინისტრაციული იუსტიციის გერმანული, ფრანგული და ანგლო-ამერიკული მოდელების განხილვა და მათი შედარება ქართულ მოდელთან.

***– მოგვიყევით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თქვენი თანამშრომლობის საწყის ეტაპზე.***

– სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩემი ურთიერთობა დაიწყო 2010 წელს, როდესაც იურიდიულ ფაკულტეტზე პედაგოგად მომიწვიეს. ამ დროს სამართლის საბაკალავრო პროგრამა იყო მილევად რეჟიმში. 2011 წელს მონაწილეობა მივიღე გამოცხადებულ კონკურსში და კონკურსის შედეგად დავიკავე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა. ამავე დროს, ვიყავი სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, რომელმაც წარმატებით გაიარა აკრედიტაცია 2013 წელს. აქვე დავამატებ, რომ ვიყავი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, შემდგომ კი – წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი.



***– საინტერესოა თქვენი ხედვა ფაკულტეტის განვითარებასთან დაკავშირებით.***

– ამჟამად, იურიდიულ ფაკულტეტზე მოქმედებს 2 საგანმანათლებლო პროგრამა: სამართლის საბაკალავრო და საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა. მინდა აღვნიშნო, რომ იურიდიული ფაკულტეტი მეტად მოთხოვნადი და პოპულარული ფაკულტეტია. აღსანიშნავია, რომ ჩვენი კურსდამთავრებულების დიდი უმრავლესობა დასაქმებულია. ფაკულტეტს ემსახურება მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი კადრები, იქნება ეს აკადემიური პერსონალი თუ მოწვეული პედაგოგები. ეს ტრადიციები უნდა გაგრძელდეს. ჩემი მხრიდან, როგორც დეკანი, ვაპირებ იურიდიული ფაკულტეტის მეტ პოპულარიზაციას. მოხდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გაძლიერება ახალი კადრების მოწვევით. ესენი იქნებიან დარგის სპეცილისტი სამართლის დოქტორები, რომლებთანაც უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები და უმრავლესობისგან გვაქვს თანხმობა და სურვილი, ითანამშრომლონ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

***– ბატონო დავით, ვისაუბროთ სამაგისტრო პროგრამებზე. გარდა არსებული პროგრამებისა, ხომ არ გაქვთ სამომავლოდ გეგმა, ახალი პროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებით, პროგრამის, რომელიც ჩვენი რეგიონის ინტერესებს იქნება მორგებული?***

– პერსონალის გაძლიერება მოგვცემს საშუალებას, რომ პირველ ეტაპზე აკრედიტაციისთვის მომზადდეს სამართლის სამაგისტრო პროგრამა. აღნიშნულ პროგრამაზე მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა და იმედი გვაქვს, უმოკლეს ვადაში წარვადგენთ მას. ზოგადად, სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ეროვნული და უცხოური სამართლის სფეროში მიმდინარე ცვლილებების, სხვადასხვა სამართლებრივი კულტურის, ინსტიტუციების საქმიანობისა და იურიდიული პროფესიის ეთიკური ნორმებისა და ღირებულებების შესახებ; გაუღრმავოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისგან დამოუკიდებლად იდენტიფიცირების, არგუმენტირებული გადაწყვეტილებების ჩამოყალიბების, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შემუშავებისა და საკუთარი კვლევის შედეგების წერითი და ზეპირი ფორმით გადმოცემის უნარები; ჩამოუყალიბოს იურიდიული პრაქტიკის კონტექსტში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის, სამართლიანობის ძირითადი პრინციპების დაცვის უნარი, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინებით. სამართლის სამაგისტრო პროგრამის წარმატებით გავლა კურსდამთავრებულს უქმნის მყარ საფუძველს სწავლების შემდგომ საფეხურზე – დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად.

შემდეგი ეტაპია საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მომზადება აკრედიტაციისათვის, რაც საშუალებას მისცემს საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, ამავე უნივერსიტეტში მიიღონ მაგისტრის ხარისხი. ჩვენი აზრით, ეს პროგრამა მომავალი სასწავლო წლისთვის იქნება მზად.

***– ბევრს აინტერესებს და ელის სადოქტორო პროგრამას იურიდიულ ფაულტეტზე. რას გვეტყვით ამ საკითხთან დაკავშირებით?***

– რაც შეეხება სამართლის სადოქტორო პროგრამას, მისი განხორციელება ძალიან დიდ ნიუანსებთან და გამოწვევებთან არის დაკავშირებული, რისთვისაც ჩემი აზრით, ამ კონკრეტულ ეტაპზე ჩვენ არ ვართ მზად. პრიორიტეტი არის სამაგისტრო პროგრამები. ამ კონკრეტულ ეტაპზე სამართლის სადოქტორო პროგრამა არ განიხილება, თუმცა, ეს არ გამორიცხავს მომავალში ამაზე ფიქრს.

***– დავუბრუნდები საბაკალავრო პროგრამას. ახსენეთ, რომ მზადდება საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა აკრედიტაციის გასავლელად. რა სიხლეებით იქნება წარმოდგენილი აღნიშნული პროგრამა?***

– საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაში ძირეულად იქნა გადახედილი ყველა დეტალი, აბსოლუტურად შევცვალეთ მიდგომები. როგორც მოგეხსენებათ, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა არ წარმოადგენს მხოლოდ სამართლის მიმართულებას. ახალი პროგრამა შედგება: თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებისაგან, უცხოური ენის კომპონენტებისაგან, ძირითადი სასწავლო სფეროს სამი მოდულისაგან – საჯარო სამართლის მოდული, ეკონომიკისა და ბიზნესის მოდული, ძირითადი სასწავლო სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა მოდული. გადაიხედა და განახლდა სამივე მოდული. შეთავაზებულია ახალი დისციპლინები. ცვლილება განიცადა სამართლის მოდულმა, საიდანც ამოღებულ იქნა სისხლის და კერძო სამართლის კურსები. დაემატა საჯარო მიმართულების, როგორც ძირითადი, ასევე, არჩევითი სასწავლო კურსები, აგრეთვე, ძირითადი სასწავლო სფეროს პრაქტიკული კომპონენტი. აღნიშნული ცვლილებები სტუდენტს აძლევს საშუალებას, მიიღოს ის კონკრეტული ცოდნა, რომელიც მისთვის აუცილებელია.

***– მადლობა, ბატონო დავით. ფაკულტეტს ვუსურვებთ დასახული მიზნების განხორციელებას.***

*ინტერვიუერი*
***ლიკა ზაზაშვილი***

# ასტეროიდის აღმოჩენა

**რევაზ ჭილლაძე**
**პროფესორი**

**საქართველოს** აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახელობის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში 2021 წლის 26 ნოემბერს დედამიწასთან მოახლოებადი ასტეროიდების შემსწავლელმა ჯგუფმა: პროფესორმა **რაგული ინასარიძემ** (ხელმძღვანელი), დოქტორანტებმა – **გივი კაპანაძემ** და **ვოვა აივაზიანმა**, მაგისტრანტმა **დათა დათაშვილმა** და ლაბორანტმა **გულნაზ ინასარიძემ**, ობსერვატორიის არსებობის ისტორიაში პირველად, აღმოაჩინეს ასტეროიდი.

ახალი ასტეროიდის აღმოჩენა (არსებობა) დაადასტურა საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის „მცირე პლანეტების ცენტრმა“ (სმიტსონის ასტროფიზიკური ობსერვატორია, კემბრიჯი, MA 02138, აშშ) და მას მიანიჭა ნომერი 2021 UL17.

ახლადაღმოჩენილი ასტეროიდი მიეკუთვნება დედამიწასთან ახლომყოფ ამურთა ჯგუფის ასტეროიდებს, რომელთა ორბიტები მთლიანად დედამიწის ორბიტის მიღმაა და ის არასოდეს არ გადაკვეთს დედამიწის ორბიტას. ასტეროიდი მოძრაობს გაწელილ ორბიტაზე, რომლის ექსცენტრისიტეტი, დაახლოებით, 0.44-ის ტოლია, ხოლო დიდი ნახევარღერძი 1.35 ასტრონომიულ ერთეულს უახლოვდება. აღმოჩენის მომენტში მისი სიკაშკაშე, დაახლოებით, 19.5 ვარსკვლავიერი სიდიდის იყო, ხოლო ზომა – 100 მეტრამდე.

2021 UL17 ასტეროიდის ორბიტა გადაკვეთს მარსის ორბიტას და, ფაქტობრივად, უახლოვდება ძირითად სარტყელს. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად საშიშია დედამიწისთვის, მისი შეჯახების ალბათობა ნულის ტოლია.

საზოგადოდ, საქართველოს ევგენი ხარაძის სახელობის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის არსებობის ისტორიაში აღმოჩენილია: კომეტები, ახალი და ზეახალი ვარსკვლავები, პლანეტსახის ნისლეულები, პეკულარული და ნახშირბადოვანი ვარსკვლავები, ანთებადი ვარსკვლავები, ვარსკვლავთ სისტემები და სხვა. რაც შეეხება ასტეროიდის აღმოჩენას, როგორც აღვნიშნეთ, ეს პირველი შემთხვევაა.



**რა დანიშნულება აქვს მეცნიერებას თუ ის მომავალ თაობებს არ გადაეცა?! ალბათ, ყველა დამეთანხმება – არანაირი. სწორედ ამ სტატიაში პროფესორ მერაბ ბერიძესთან ვსაუბრობთ ორ შესანიშნავ გამოცემაზე – „გულანი“ და „არავი“, რომელიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი ხანია გამოდის და საშუალებას აძლევს ადამიანებს, საკუთარი სამეცნიერო და სალიტერატურო ნამუშევრები ფართო საზოგადოებას წარუდგინონ.**

# „გულანი“ და „არავი“ – განვითარების გზა

„გულანი“, თვითონ სახელწოდება – „სულხან-საბასეული განმარტება – „გულთ სანდომად შეკრებილი წიგნი“ – სრულიად საკმარისი იყო, რომ გაგვემართლებინა ჩვენი არჩევანი“ (მერაბ ბერიძე გულანი. №20.2016 წ. გვ.10). სხვათა შორის ერთ-ერთ ნომერში „გულანი“ ძალიან საინტერესოდ არის განმარტებული, პროფესორმა ნესტან სულავამ სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხი და წარმოადგინა შემდეგი აზრი: „გულანი“ – საქართველოს ეკლესიის წიაღში შემუშავებულმა საღვთისმეტყველო-ლიტურგიკული ხასიათის კრებულის „გულანის“ სემანტიკური არსი და რაობა განმარტა სულხან-საბა ორბელიანმა თავის ლექსიკონში: „საგალობელი სრული და გულის სანდომლად შეკრებილი წიგნი“ – B; ორ ხელნაწერში შემდეგი ვარიანტული სხვაობაა: „გულის ნების წიგნი შეკრებილი“ – CD (სულხან-საბა ორბელიანი 1966: 173). ესაა XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე აღქმა ტერმინისა „გულანი“. გრამატიკული კატეგორიის მიხედვით „გულანი“ არის ნარიანი მრავლობითის ფორმა სიტყვისა „გული“ (ნესტან სულავა გულანი. № 3(7)2009 წ. გვ. 80). სხვათაშორის, გულანები თავისი სიდიდით ქართული წიგნის ისტორიაში ყველაზე დიდი წიგნები იყო, გულანი რომ გადაშალო და წაიკითხო, ფეხზე უნდა იდგე.

სამეცნიერო სემინარი „გულანის“ სახელწოდებით არსებობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეოცე საუკუნის 70-იან წლებში და მე მისი აქტიური წევრი ვიყავი. „გულანს“ მაშინ ხელმძღვანელობდა აწ გარდაცვლილი პროფესორი ბესიკ ჯორბენაძე, შემდეგ ბესიკი გადავიდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში და „გულანიც“ გადაიტანა, თან წაიღო და იქ გრძელდებოდა. მე როგორც მახსოვს, „გულანი“ ბესიკის გარდაცვალების შემდეგ როგორც სამეცნიერო სემინარი, სამეცნიერო სესია, აღარ იყო, ამიტომ გადავწყვიტე, რომ ეს იდეა გაგვეგრძელებინა ახალციხეში.“

„2005 წელს, როგორც მოგეხსენებათ, მე წავედი ფილიალის დირექტორობიდან და 2007 წლის მარტში ჯერ კიდევ პროფესორ შოთა ზაზაშვილის დირექტორობის დროს შეიქმნა „გულანი“, როგორც სამეცნიერო სემინარი. 2008 წელს, პროფესორ თინა გელაშვილის რექტორობის პერიოდში, როდესაც სემინარებმა მასშტაბური სახე მიიღო, ჩამოვაყალიბეთ სარედაქციო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: მერაბ ბერიძე (თავმჯდომარე), თინა იველაშვილი, ვალერი სილოგავა (თავმჯდომარეს მოადგილე), ტარიელ სიხარულიძე, ნესტან სულავა, მარიკა ბაბლუანი (მდივანი).

სარედაქციო საბჭოს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი იყო ვალერი სილოგავა, რომელიც თუ კი რამე მეცნიერებას შეეხებოდა, მოგეხსენებათ, ვალერიც იქ იყო. „იყო ერთი „შეთქმული“ შეთანხმებაც, როდესაც მე, ვალერი სილოგავამ და ნესტან სულავამ გადავწყვიტეთ, ყოველ ნომერში დაგვებეჭდა სტატია. ვალერიმ სიკვდილამდე შეასრულა სიტყვა, „შეთქმულებას“ აგრძელებს ნესტანიც, მე კი ბოლოს (№19) ვუღალატე მათ. ამით იმის თქმა მინდა, რომ გულანში მოღვაწეობა ჩვენი უნივერსიტეტის გარკვეული ნაწილის ცხოვრებისეულ პრინციპად იქცა“ (მერაბ ბერიძე, „გულანი“ 20, 2016. გვ. 9).

„გულანის“ პრინციპი ასეთი იყო და რჩება დღევანდლამდე,



რომ „სამეცნიერო გულანის“ შეხვედრაზე ანუ სხდომაზე წაკითხული მოხსენებები შემდეგ გადამუშავდება ავტორის მიერვე, მოხსენების წაკითხვის შემდეგ დაისმება კითხვები, რომლებსაც პასუხობს ავტორი, იმართება დისკუსია და ეს დისკუსია, ბუნებრივია, მომცემია გარკვეული შედეგების, რომლებიც სამეცნიერო იდეებზე და კვლევებზე ახდენს გავლენას, შემდეგ ავტორი ჩამოაყალიბებს საბოლოო სახეს მოხსენებისას და ის იბეჭდება „გულანში“, როგორც გამოცემაში. ესე იგი, წმინდა სამეცნიერო სახის გამოცემა იყო „გულანი“ და არის.

„გულანი“ – სამეცნიერო გამოცემა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ჰუმანიტარული მეცნიერებების ნაშრომების გამოცემას მოიცავდა, საკმაოდ სწრაფად განვითარებადი აღმოჩნდა და მისით უნივერსიტეტში არსებული ბევრი მიმართულების მეცნიერი დაინტერესდა.

„თავდაპირველად მასში მონაწილეობას ღებულობდნენ, ძირითადად, ფილოლოგები, ენათმეცნიერები, ლიტერატორები, ისტორიკოსები, ეთნოლოგები და არამარტო ისინი. მაგალითად, მე მახსოვს, ერთ-ერთი შეხვედრის დროს კომპიუტერულ პრობლემებზე იყო მოხსენება. ასევე, ჩვენი „გულანის“ სხდომებზე მონაწილეობა მიუღიათ უცხოელებს. თურქ სტუმრებს, რომელთაც გაფართოებული სხდომა მივუძღვენით. პრობლემა, რომელზეც ისინი მუშაობდნენ, გარკვეულწილად ახლოს იყო ჩვენს სინამდვილესთან, ამიტომ საინტერესო იყო მათი ეს გამოსვლა.“

2015 წლიდან ჟურნალი სრულიად ახალ ეტაპზე გადადის. ამ დროისთვის პროფესორ მერაბ ბერიძის რედაქტორობით გულანის 20 ნომერი და 340 სტატია იყო გამოქვეყნებული, გადაწყდა მისთვის ახალი დანიშნულება მიენიჭებინათ და გამოცემა მსოფლიოში არსებული სამეცნიერო სტატიებისათვის განკუთვნილი კრიტერიუმებით გაგრძელებულიყო, ყველა ახალი სტატია, სწორედ რომ, ამ კრიტერიუმების მიხედვით გამოსულიყო დღის შუქზე. იმის გამო, რომ შეფასების კრიტერიუმები და წერის ახალი სტილი ინგლისურენოვანი გამოცემებიდან უნდა ყოფილიყო მოძიებული, ბატონი მერაბი ასპარეზს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელს უთმობს: „რადგან მოძიებული მასალა, ძირითადად, ინგლისურ ენაზე უნდა ყოფილიყო, შეიძლება მე ეს ვერ გამეკეთებინა როგორც საჭირო იყო, ამიტომ ვთხოვე იმ დროს რედაქტორის მოადგილეს მაკა ბერიძეს, რომ მას გაეგრძელებინა საქმიანობა და ავირჩიეთ რედაქტორად. მან უკვე ახალი კრიტერიუმებით გადაიბარა საქმე. სიახლეები საჭიროა, მოდის ახალი თაობა, ახალი იდეები, როდესაც ადამიანი თავად ვერ აუღებ ალღოს ყველაფერს, ძალიან ძლიერი უნდა იყო, რომ ყველაფერს გაუძლო, მაგრამ ვერ უძლებ, ამიტომ იდეა კი არ უნდა ჩაკლა, პირიქით, ვისაც შეუძლია, იმას უნდა მისცე საშუალება, რომ გააგრძელოს.

ძალიან აქტიური წევრია გულანისა პროფესორი ნესტან სულავა, რომელიც დამრტყმელ ფუნქციას ასრულებს სარედაქციო საქმეში. ბევრი ავტორი გვყავს ამ ხნის მანძილზე „გულანში“. მე როგორც მახსოვს, მეოცე ნომერში გამოქვეყნებულია ყველა ის ავტორი და მათი შრომები, რომელიც დაბეჭდილია „გულანში“. „გულანის“ დიზაინი შექმნა გიორგი ბაგრატიონმა. ის ცნობილი დიზაინერი და სერიოზული მოღვაწე გახლავთ, დიზაინი იმდენად დროის შესაბამისადაა შექმნილი, რომ დღესაც კი არ კარგავს სახეს.

სტილი, რომელიც იყო მანამდე გულანში გამოყენებული, ძალიან დაგვენანა, ძალიან ჩვეულებრივი სტილი, აი, ავდექი და წერილი დავწერე, ზოგი მეცნიერული ხასიათსა არის, ზოგი – ნახევრად მეცნიერული და ვთქვით მაშინ – რა ვქნათ ახლა?! მორჩა ამით ყველაფერი საქართველოში?! არა და 90% ჯერ კიდევ ძველ სტილზე წერს და გამოდის ყველაფერი, ამიტომ მე პირადად გადავწყვიტე, რომ გამოსულიყო ახალი გამოცემა, რომელიც 2016 წლიდან დავიწყეთ და ეს იყო „არავი“.

„არავი – ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი“ – ტრადიციული სახით დაწერილი სტატიები, რომელშიც თითოეული ავტორი თავისი სულის ნაწილს დებს. ისევე, როგორც „გულანმა“, „არავის“ განვითარებამაც არ დააყოვნა, მან განვითარება სხვადასხვა მიმართულებებით ჰპოვა და აგრძელებს კვლავაც. მრავალმხრივი ჟანრებით დატვირთული „არავი“ მკითხველს სთავაზობს: პოეზიას, პროზას, სხვა და სხვა საინტერესო ადამიანებთან ინტერვიუებს, მოგონებებს, წერილებს, სამეცნიერო სტატიებს „ძველებური სტილით“, სიახლეებს და ა.შ.

„ჩვენ წავედით სამეცნიერო-პოპულარული ხაზით. როდესაც რაღაცას მეცნიერულად აკეთებ, ის გინდა ხანდახან ცოტა „ადამიანურადაც“ დაწერო, რომ ყველასთვის გასაგები იყოს, რასაც არ ექნება აბსტრაქტი, შესავალი, საკონტაქტო სიტყვები, დასკვნა. არა, ბატონო! როგორც წერდა მამა-პაპა, ისე გავაგრძელოთ და ასე გავაგრძელეთ „არავში“. 27-ე ნომერი გამოდის ახლა. ჩემთვისაც ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მისი გამოცემა. მოღვაწეობა და საქმიანობა იმიტომ, რომ „არავით“ ჩვენ გავცდით უკვე უნივერსიტეტს. რუტინული საქმიანობის მიღმა გაჩნდა რაღაც სივრცე, რომლითაც შეიძლება მთელი საქართველო აღმოჩნდეს შენთან. ჩამოყალიბდა იდეა, რომ შეგვექმნა გარკვეული ბაზა ცნობილი პიროვნებების და აი, ამ ცნობილ პიროვნებებთან შეგვექმნა მაღალი დონის ინტერვიუ. მე და ქალბატონი მაკა ძალიან ხშირად ვთანამშრომლობთ ამ კუთხით, რამდენიმე ერთობლივი წიგნი გვაქვს ჩაფიქრებული, ბევრი ერთობლივი სტატია გვაქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი იყო, იცით რა?! ქალბატონი მაკას მონდომება და ის სივრცე, რომელიც მისთვის გარკვეული სიახლე კი იყო, იცნობდა ის პროდუქციით, მაგალითად: რევაზ მიშველაძეს ძალიან კარგად იცნობდა მისი წიგნებით, მაგრამ მე ვმეგობრობდი რეზოსთან, ამიტომ, როდესაც ვთხოვე რევაზ მიშველძეს, რომ ჟურნალის რედაქტორი ვარ, მოვა თქვენთან ქალბატონი მაკა და თუ შეიძლება, ინტერვიუზე დაგვთანხმდით-მეთქი, რეზო დაგვთანხმდა დიდი სიამოვნებით და გამოვიდა ბრწყინვალე ინტერვიუ. პირველი ინტერვიუ, როგორც მახსოვს გაკეთდა ქალბატონ თინათინ მღვდლიაშვილთან და ამ ინტერვიუზე მუშაობა სამი-ოთხი თვე გრძელდებოდა, რადგან მღვდლიაშვილი ყოველ წინადადებას, ყოველ სასვენ ნიშანს ხელახლა კითხულობდა. ის საკუთარ თავთან ძალიან მომთხოვნი შემოქმედია, შესანიშნავი პოეტია, დიდი პოეტია. მასთან საუბრებიდან მე ვიცი, რომ ის თითოეულ ლექსზე მუშაობს ბევრს, ის მუშაობს სიტყვაზე, სტილზე და მერე, როცა დღის სინათლეს მისცემს, არის შესანიშნავი პოეზია და ეს ყველაფერი უნდა ეჩვენებინა ინტერვიუერს. არის ინტერვიუ, აგრეთვე, გურამ პეტრიაშვილთან, რომელიც ძალიან საინტერესო პიროვნებაა, ზვიად გამსახურდიას დროს სერიოზული თანამდებობის პატრონი და უსაზღვროდ განათლებული ადამიანი, რომელთან დიალოგიც არ არის ადვილი. ინტერვიუ არ არის მარტივი, შემიძლია ვთქვა, ქალბატონი მაკას სასახელოდ, რომ მან არ დაუდო ტოლი რესპონდენტებს არაფერში, იმიტომ, რომ სწავლობდა ის თითოეულ ავტორს, თითოეულ ადამიანს, ვისთანაც მიდიოდა და დაიდო ისეთი ინტერვიუები, რომლებიც არის საშვილიშვილო და ნებისმიერ ეპოქას გამოადგება. მე ამას თამამად ვაცხადებ! მახსენდება ინტერვიუ ირაკლი ვაშაყმაძესთან, რომელიც 1989 წლის 9 აპრილს ბოლომდე იბრძოდა და მოიწამლა ისე, რომ დღესაც კი ებრძვის ავადმყოფობებს, შესანიშნავი პოეტი, შემოქმედია. ახლახან გარდაცვლილ რამაზ პატრიძესთან ინტერვიუში ქართულ ასომთავრულთან დაკავშირებით ბევრი რამე იყო ძალიან საინტერესო და ამან კიდე სხვა შედეგი გამოიღო, „არავში“ დაბეჭდილი გამოიცა წიგნად – „თანამედროვენიI“. ხედავთ, რამხელა სპექტრია?! ქართული ასომთავრული, თეატრი, კინო. ამას გარდა იყო ინტერვიუ ახალციხეში მოღვაწე ომარ ჯაყელთან ახალციხელობასთან დაკავშირებით და ეს საკმაოდ დიდი თემაა. მე ვფიქრობ, ეს ყველაფერი საკმაოდ საინტერესო გამოგვივიდა და აი, ეს იყო მხოლოდ ერთი მიმართულება.

ძალიან საინტერესო გახლავთ „არავში“ ემიგრანტული ლიტერატურა. ბევრი ემიგრანტი ავტორი წამოვწიეთ წინ: პოეტები, მწერლები, ემიგრანტების მოგონებები და უამრავი საინტერესო რამ. შედგა დებიუტები მაგალითად: ივდო ოტობარი ახალგაზრდა პოეტი ზუგდიდიდან, ბრწყინვალე პოეზია აქვს. სულ ბოლოს ნინო ბერიძე დავბეჭდეთ, ჩვენი სტუდენტი. ერთი პრინციპი არის „არავში“, რომ უნდა დაიბეჭდოს პირველად გამოქვეყნებული ლიტერატურა. ასე დაიბეჭდა რევაზ მიშველაძის ორი ნოველა, ვთხოვე, გამოეგზავნა თავისი ხელნაწერები. ასე რომ, მისი ორი ხელნაწერი გვაქვს, რაც ძალიან მახარებს, იმიტომ, რომ ძალიან დიდი მწერალია რევაზ მიშველაძე, მან თავისი 25 ტომი დადო და ამის შემდეგ კიდევ ბევრი რამ დაწერა.

გავუღეთ კარი ჩვენს კურსდამთავრებულებს, რომლებიც სკოლაში ასწავლიან და არა მარტო მათ, მათი ცხოვრების და საქმიანობის შესახებ ვბეჭდავთ ხოლმე, ძალიან საინტერესო რუბრიკებია. ისიც აღსანიშნავია, რომ ორივე გამოცემის სარედაქტორო საბჭოები ენთუზიაზმზე მუშაობს, არავინ ამაში ფულს არ იღებს.

სწორედ ესაა ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო კულტურული მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოცემები არის სახე იმ შრომის, რასაც აქ მომუშავე ადამიანები, სტუდენტები და დაინტერესებული პირები აკეთებენ თავიანთი შემოქმედებით. ეს არის ცხოვრების გზა, რომელსაც ეს ადამიანები ქმნიან, სამყარო, რომელიც თავის სიტყვას ამბობს.

*ანა კორშია*

# პანდემიამ შეცვალა სამყარო...

**გულიკო ბექაური**
**ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი**



**მართალია,** ტრაფარეტული სათაური გამომივიდა, მაგრამ არ მინდა ბევრი ვიფიქრო, მითუმეტეს, ამ თემაზე...

პანდემია, კოვიდი, ვაქცინა, ანტისხეული, კოვიდსტატისტიკა – ეს ის ტერმინებია, რომლებიც მოულოდნელად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და სხვანაირი რაკურსით დაგვანახა ყველაფერი ამ სამყაროში. პირველ რიგში, ჩვენი საკუთარი პიროვნება. ზოგჯერ სუსტი, უსუსური, შეშინებული, განურჩევლად ასაკის, სქესის, რასის, რელიგიური კუთვნილების, ყველას, ყველას შეეხო, ყველას ეტკინა...

გახსენებაც მიჭირს იმ დღეების... რა ვთქვა, როგორ გადმოვცე. ანალიზს და პროგნოზს მოკლებული სასტიკი დაავადება, არ ვიცი, ვის ან რატომ დასჭირდა მსოფლიოს ეს უკიდურესად საშიში ექსპერიმენტი. ვიღაც, კონკრეტული პიროვნების შეცდომის თუ მიზანმიმართული პროცესის შედეგი, რომელიც ეწინააღმდეგება მრავალ სამედიცინო და სამეცნიერო ლოგიკას. ღმერთმა მაპატიოს, ეს ჩემი სუბიექტური აზრია...

უჩვეულო გარე სამყარო... დაცლილი ქუჩები... გაჩერებული ტრანსპორტი, თავდაპირველად გარეთ გახედვისაც მეშინოდა, არ მინდოდა ამ ვითარების დანახვა. აღარ ისმოდა სკოლიდან დაბრუნებული ბავშვების ჟრიამული, ხალისი, თითქოს პატარა ბავშვები დიდი ადამიანების სერიოზული და მოწყენილი სახით, თითოოროლა თუ გამოჩნდებოდა მშობლებთან ერთად. ეს ძალიან მტკივნეული იყო. ვცდილობდი, არ მეფიქრა ამ სისასტიკეზე, მაგრამ როგორ? ის ხომ ჩვენს ყოველდღიურობად იქცა და თავდაყირა დააყენა მსოფლიო?! უკვე 2 წელია, ამ რეალობაში ვცხოვრობთ.

მადლობა ღმერთს, ცოტათი შევძელით შეგუება, ამის უნარიც ბუნებრივად გვაქვს და სწორედ მისი წყალობით ვახერხებთ გარემოსთან და ახალ რეალობასთან ადაპტირებას.

ალბათ ადრეა იმაზე ფიქრი, თუ რა შედეგებთან გვექნება საქმე, უახლოეს მომავალში, ეს არაპროგნოზირებადი და ლოგიკას მოკლებული ვირუსი, რა სახით ან როდის და როგორ მოგვევლინება, არავინ იცის. ერთი რამ კი ცხადია, გაიზარდა დეპრესიული და ნევროზული სიმპტომები როგორც მოზარდებში და ახალგაზრდებში, ისე ზრდასრულებში. მშობლები ხშირად დარდობენ და ამბობენ, ბავშვებს თამაში აღარ უნდათ და კომპიუტერს მიეჯაჭვნენო. სახეზე სოციალური იზოლაციის ნიშნები გვაქვს, რაც ძალიან დამაფიქრებელია და მნიშვნელოვანი გამოწვევა მშობლებისთვის და მასწავლებლებისთვის.

საზოგადოების ყველა მხარეზე უდიდესი ნეგატიური გავლენა მოახდინა, თუმცა, ამ ეტაპზე, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი განათლების სისტემაა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს, რადგან ერის და ქვეყნის სიძლიერეს, სწორედ განათლების სისტემა განსაზღვრავს. ახალმა რეალობამ, ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა და ჩვენგან, ჩვენი უნარჩვევების ტრანსფორმაცია მოითხოვა.

დღის წესრიგში დადგა დისტანციური სწავლა-სწავლების პროცესი, რითაც ბევრი გამოწვევა ავირიდეთ თავიდან. ფასდაუდებელია ყველა ელექტრონული რესურსი, რომელსაც ვიყენებთ სასწავლო პროცესების განხორციელებისათვის. მე, პირადად, უნივერსიტეტის ოფიციალური პროგრამით (მოოდლ) ვმუშაობ, ძირითადად, რომელიც საუკეთესო საშუალებაა და ძალიან გვეხმარება დროულ და სწორ უკუკავშირში, ლექცია-სემინარების ორგანიზებულად დაგეგმვასა და განხორციელებაში. სტუდენტები თვალყურს ადევნებენ თავიანთ მიღწევებს და იციან, როდის, რა დავალებაში, რა შეფასება მიიღეს. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მათი მოტივაციისთვის.

სწორედ ამ კუთხით დავიწყეთ მუშაობა, გავიარეთ ტრენინგები, პირადი თუ ოფიციალური კონსულტაციები, იმისთვის, რომ დისტანციური სწავლებისთვის აგვეწყო ფეხი. ბევრი დამეთანხმება, ალბათ, რამდენ სირთულეებთან არის დაკავშირებული სწავლების ეს ფორმა.

ბევრი რამეა გასათვალისწინებელი; ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებები, ემოციური და სოციალური სფერო, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ. ამ ყველაფერმა, განსაკუთრებით ჩემი თაობის პროფესორ-მასწავლებლები სერიოზული გამოწვევების წინაშე დაგვაყენა და მიხარია, რომ ჩვენი შრომით, შევძელით ამ რეალობისთვის „თვალის გასწორება“ (მომწონს ეს ტერმინი).

არა, ვერანაირი ტექნიკა ვერ შეცვლის „ცოცხალ“ კონტაქტს, მენატრება აუდიტორიაში ლექციის ჩატარება, სადაც თითოეულ სტუდენტს გრძნობ, ემოციას განიცდი, თავისუფლად იხილავ ყველა პრობლემას, არ გაქვს იმის განცდა, რომ ან ტექნიკური, ან სხვა ტიპის პრობლემით შეიძლება ხელი შეგეშალოს.

2 წელი არ არის ცოტა. კოვიდით გამოწვეული პრობლემების გაანალიზებას დრო დაჭირდება, თუმცა, ფაქტია, რომ ისევე, როგორც საზოგადოების ყველა მიმართულებაზე, განათლების სფეროზეც მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა. ამიტომ, ნამდვილად დროულად უნდა გაანალიზდეს ყველა ფაქტორი და ამის გათვალისწინებით მოხდეს კორექტირება და ახალი რეკომენდაციების გათვალისწინება სწავლა-სწავლების პროცესში.

ღმერთმა ინებოს, დროზე დასრულდეს პანდემია, რომელმაც ნამდვილად ძალიან, ძალიან შეცვალა სამყარო.

# ინფორმაციები

## სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები

**31 იანვარს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები გაიმართა. არჩევნებში მონაწილეობდა ერთი კანდიდატი – პროფესორი მაკა ბერიძე. არჩევნებს აკადემიური საბჭოს სრული შემადგენლობა – 8 წევრი, ესწრებოდა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად (მეორე ვადით) აკადემიურმა საჭომ, სრული შემადგენლობით, მაკა ბერიძე აირჩია.



● **12 იანვარს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამუშაო პროცესის განახლებასთან დაკავშირებით, ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები.

სანიტარულ-ჰიგიენური პროცესები გატარდა ახალციხეში მდებარე პირველ და მეორე სასწავლო კორპუსებში, ასევე, მესამე კორპუსში (ახალქალაქი).

მსგავსი სადეზინფექციო სამუშაოები სასწავლებლის სამივე კორპუსში სისტემატურად ტარდება.

● **8 თებერვალს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ინფორმაციულად დატვირთული შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების სამმართველოს ხელმძღვანელი **თამარ თოლორაია,** ბავშვთა გაეროს ფონდის (იუნესეფი) ადრეული განათლების ექსპერტი **ანა ჯანელიძე,** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის სკოლამდელი განათლების მიმართულებით სპეციალისტები – **თამარ საღინაძე** და **მანანა ჩქარეული.**

უნივერსიტეტის მხრიდან, აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ: რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე**, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი **როინ თათეშვილი**, განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი **ირმა ქურდაძე**, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი **ხათუნა კვინცხაძე**.

გაეროს ბავშვთა ფონდმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 33 დასახელების წიგნი ინგლისურ და ქართულ ენაზე. შეხვედრაზე ინიცირება გაუკეთდა ბავშვთა გაეროს ფონდის ახალ პროექტებს სკოლამდელი და ზოგადი განათლების მიმართულებით, ასევე, საუბარი შეეხო Erasmus+-ის ფარგლებში უნივერისიტეტის (როგორც კოორიდნატორი უნივერსიტეტის) ფუნქციას.

● **9 თებერვალს,** ზუმის პლატფორმის საშუალებით, გაიმართა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის **უჩა ბლუაშვილის** საჯარო ლექცია თემაზე: **„მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების რეპრესიები: მითები და სინამდვილე“.**

ლექციას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე**, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი **გულიკო ბექაური**, სასწავლებლის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, აღნიშნული თემით დაინტერესებული სტუდენტები.

● **14 თებერვალს,** გაიმართა ვებინარი თემაზე: **„სამეცნიერო მეტრიკის საკითხები – სამეცნიერო ნაშრომის ბიბლიოგრაფიის ფორმირება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების მოთხოვნების შესაბამისად”**. ვებინარს უძღვებოდა პროფესორი **ნიკოლოზ ახალკაცი.**

ვებინარს ესწრებოდნენ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

● **19 თებერვალს,** გაიმართა ონლაინ მრგვალი მაგიდა-დისკუსია თემაზე: **„აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატის პრევენცია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში კოვიდ-პანდემიის პერიოდში: გამოწვევები და პრევენციული ღონისძიებები.”**

შეხვედრას უძღვებოდნენ ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის პროფესორი **თინა გელაშვილი** და ინგლისური ენის მოწვეული პედაგოგი **თეონა ჟუჟუნაძე**.

შეხვედრის ბოლოს შედგა დისკუსია, სადაც სტუდენტებმა საკუთარი აზრი დააფიქსირეს აღნიშნულ საკითხზე.

ღონისძიება მიეძღვნა პლაგიატის ცნობიერების ამაღლების დღეს.

● **22 თებერვალს,** ახალციხის ცენტრალურ პარკში მოეწყო შემეცნებით/გასართობი ღონისძიება, რომელიც ვაქცინაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას მიეძღვნა. კამპანიას, UNICEF-ის საქართველოს წარმომადგენელთან ერთად, ბატონი **ჰასან ხალილი** ესწრებოდა.

ღონისძიებაზე, გარდა კოვიდ ვაქცინაციის საინფორმაციო სტენდისა, სტუდენტებს დახვდათ მრავალი გასართობი აქტივობა, წამახალისებელი საჩუქრები, ტკბილეული და ცხელი სასმელი.

იმუნიზაციისა და ვაქცინოლოგიის ასოციაცია (AIVA) გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) თანამშრომლობით და USAID-ის მხარდაჭერით ახორციელებს კოვიდ ვაქცინაციის წამახალისებელ კამპანიას „MEDიატორი“, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს 5 უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტები, ასოციაციის წევრებთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საინფორმაციო შეხვედრებს აწარმოებენ.

● **25 თებერვალს,** გაიმართა შეხვედრა თემაზე – **„ქართულ ვეტერინარიაში არსებული გამოწვევები, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის პროგრამის ჩამოყალიბება და პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრა.“**

შეხვედრა გახსნა და ღონისძიებას უძღვებოდა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე **ვასილ ბასილაძე.** მან ისაუბრა ვეტერინარიის მნიშვნელობაზე და დარგში არსებულ გამოწვევებზე.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მინისტრის პირველი მოადგილე **გიორგი ხანიშვილი,** სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე**.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ლევან მაკარაძემ** შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ვეტერინარიის სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსმა **დემნა ხელაიამ** სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამების არსებობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

შეხვედრა, მომხსენებელთა გამოსვლების შემდეგ, დისკუსიის რეჟიმში წარიმართა.

*ინფორმაციები უნივერსიტეტის **facebook**-ის გვერდიდან*



# დისტანციური სწავლების სპეციფიკა

ვახტანგ ინაური
პროფესორი



**ონლაინ-რეჟიმში** მუშაობა თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარება ხელს უწყობს ადამიანთა შორის კომუნიკაციების ოპერატიულობას. ეს ურთიერთობა იყო პანდემიამდე და არის პანდემიის შემდეგაც. განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მიიღო და გაფართოვდა მისი არეალი კოვიდ 19-ის გავრცელების გამო.

ონლაინი, ერთი მხრივ, იცავს ადამიანს ვირუსისგან, ზღუდავს მის გავრცელებას, მეორე მხრივ, ამაღლებს ტექნიკური აზროვნებისა და კომპიუტერთან მუშაობის ცოდნის დონეს. მასობრივად ჩაერთო, თითქმის, მთელი საზოგადოება დისტანციური მეთოდით საქმიანობაში, უფრო ინტენსიური გახდა კომპიუტერით ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა.

ბოლო წლებში, „სკაიპსა“ და „ლაივს“ დაემატა ახალი პროგრამები: „ზუმი“, „მოოდლი“, „მესენჯერი“, „ფეისბუკი“ და სხვა, რაც უდავოდ აუმჯობესებს ონლაინით საქმიან თუ პირად ურთიერთობებს.

სასწავლო პროცესს რაც შეეხება, ამ რთულ კოვიდურ მდგომარეობაში კომპიუტერული ტექნოლოგიების თანამედროვე დონისა და აღნიშნული პროგრამების ფუნქციონირების გამო, მადლობელი უნდა ვიყოთ უფლისა და მათი შემოქმედი მეცნიერების, რადგანაც მათი არარსებობის შემთხვევაში, სწავლა-განათლება და სხვა მნიშვნელოვანი სფეროები ქვეყანაში პარალიზებული დარჩებოდა. ასეთ შემთხვევაში ზედმეტია უკმაყოფილება და პრეტენზიების გამოთქმა დისტანციურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

დისტანციური სწავლება ხელს არ უშლის სასწავლო პროცესს, გარკვეულ ვითარებაში, ლექტორის მიერ სწორად შერჩეული მეთოდისა და სასწავლო პროცესის სათანადოდ დაგეგმვის შემთხვევაში, მეტი წარმატების მიღწევაც შეიძლება. ამ აზრს ადასტურებს ახალქალაქის სტუდენტებისა და ახალციხის III კურსის ფილოლოგების გაერთიანებულ ლექცია-სემინარებზე სტუდენტების აკადემიური მიღწევები.

XX საუკუნის ქართულ მწერლობას ვუკითხავდი, ტიციან ტაბიძის პოეზიას ვუხსნიდი. როგორც წესი, ლექსს ჯერ ვუკითხავ ზეპირად, ლიტერატურულად და მხატვრულად, მერე ვაანალიზებ. ახალციხელმა ფრიადოსანმა სტუდენტებმა, რა თქმა უნდა, ისწავლეს, ეს მათთვის მარტივი იყო, მაგრამ აღსანიშნავია ახალქალაქელთა დაინტერესება ქართული პოეზიით. სემინარზე ახალქალაქელი თორმეტი სტუდენტიდან თერთმეტმა ჩამაბარა (ერთი სტუდენტი, ოჯახური მდგომარეობის გამო, წინა დღით არ იყო და მეორე დღეს ჩამაბარა). ყველა, თორმეტივე, ისე კითხულობდა ზეპირად ტიციანის ლექსებს, ცრემლი მოგერეოდათ, ისეთი განცდით, ემოციით, ისეთი აღმაფრენით ბაძავდნენ ჩემ წაკითხულს. ამას არ ვწერ ჩემ შესაქებად. ეს მათ სასახელოდ მინდოდა გამეცხადებინა. მათ ძალიან კარგად იციან ტიციანის, გრანელის, გალაკტიონის, ასათიანის ლექსები.

ამით იმის თქმა მინდა, რომ დისტანციურადაც შეიძლება მიიტანო შენი სათქმელი სტუდენტებამდე და დისტანციურადაც შეიძლება სტუდენტმა მაღალ დონეზე ისწავლოს.

არის აზრი, რომ სააუდიტორიო მეცადინეობას ბევრი დადებითი აქვს დისტანციურ სწავლებასთან შედარებით. მაგალითად, უშუალო კონტაქტი, აუდიტორიაზე ზემოქმედების საშუალება, სტუდენტთა მხრიდან მოსმენის დონე და სხვა, მაგრამ დისტანციურ სწავლებასაც აქვს თავისი დადებითი მხარეები: დროის დიდი ეკონომია – სახლიდან გაუსვლელად ატარებს ლექტორი ლექციას და სახლში უსმენს სტუდენტი; მერე, ფინანსური ეკონომია – მგზავრობაში თანხა არ ეხარჯება არც ლექტორს, არც სტუდენტს. მესამე, ახალციხის პირობებში სტუდენტს ეზოგება ბინის გადასახადი და უნივერსიტეტს – ლექტორების მგზავრობის ხარჯი.

გარდა ამისა, დისტანციურად სწავლების მასშტაბები ვრცელია, თუ აუდიტორიაში 20-30 სტუდენტთან ან ზოგადად ადამიანთან გაქვს ურთიერთობა, ფეისბუკზე ათასობით პიროვნებასთან გაქვს კონტაქტი, რომლებსაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაგიკავშირდნენ, ჩაგაბარონ სემინარი და მიიღონ კონსულტაცია.

სწავლება დისტანციურად სტუდენტთა დასწრებასაც აუმჯობესებს. ისინი, ვინც აუდიტორიაში მისვლას ვერ ახერხებდნენ, უცდებოდათ, ვერ ისმენდნენ ლექციას, ვერ სწავლობდნენ, ონლაინში ესწრებიან და წარმატებითაც სწავლობენ. დაწყებითი განათლების სტუდენტებთან მქონია შემთხვევა, როდესაც ათამდე სტუდენტი გოგონა, რომლებსაც ბავშვები ჰყავთ, ვერ ესწრებოდა აუდიტორიაში ლექციებს, ონლაინში მათ ლექცია არ გაუცდენიათ და წარმატებითაც სწავლობდნენ.

რაც შეეხება სტუდენტთა მხრიდან ონლაინ ლექციების მოსმენის დონეს, ეს ლექტორის კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. დისტანციურადაც უნდა დააინტერესო სტუდენტი, უნდა შეარჩიო სასწავლო საკითხთან შესაბამისი მეთოდი, დიქცია, ხმის ტონი, ემოციები და სხვა, რითაც უფრო დააინტერესებ სტუდენტს.



# ERASMUS+-ს საერთაშორისო პროექტი – E-PSY სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში

გურანდა მოდებაძე
საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების უფროსი სპეციალისტი

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტში Erasmus+-ს ინსტიტუციური განვითარების რამდენიმე მიმდინარე პროექტი ფუნქციონირებს, მათ შორის არის E-PSY „ფსიქოლოგიური კონსულტაციების ცენტრების გახსნა სტუდენტებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროექტით გამოყოფილია 42 769 ევრო, რომელიც დაიხარჯება როგორც ადამიანური რესურსების გადამზადებაში, აგრეთვე, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაში. პროექტი სამ წელზეა გათვლილი და მისი კოორდინატორი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტია. ქართველ პარტნიორებთან ერთად, პროექტში ჩართულია იტალიის, პოლონეთისა და რუმინეთის უნივერსიტეტები.

პროექტის ფარგლებში განხორციელებულია არაერთი აქტივობა, მათ შორის, გასული წლის ოქტომბერში, უნივერსიტეტში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც ეძღვნებოდა **„ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღეს“.** შეხვედრა მიმდინარეობდა ჰიბრიდული მეთოდით; ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, თითოეული ფაკულტეტიდან წარმოდგენილ იყო რამდენიმე სტუდენტი აუდიტორიაში, ხოლო დანარჩენი სტუდენტები მონაწილეობდნენ Zoom პლატფორმის გამოყენებით.

ღონისძიებაზე განხილული იყო ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამაფრთხილებელი ნიშნები და რეკომენდაციები ჯანსაღი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

„სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებს WSG საინფორმაციო შეხვედრაში, რომელიც იმართება საგანმანათლებლო მიზნებისთვის პარტნიორთათვის Erasmus+ (CBHE) ინსტიტუციური განვითარების პროექტის E-PSY – **„ფსიქოლოგიური კონსულტაციების ცენტრების გახსნა სტუდენტებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში”** – ფარგლებში. აღნიშნულ შეხვედრებზე უნივერსიტეტს წარმოადგენენ: პროექტის მენეჯერი და საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების უფროსი სპეციალისტი – **გურანდა მოდებაძე,** მკვლევარი – **ქეთევან ნარიმანიშვილი** და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი – **თეა თათენაშვილი.**

საინფორმაციო სამდღიანი შეხვედრა, რომელიც ოქტომბრის ბოლოს გაიმართა, გახსნა კონსოლციუმის კოორდინატორმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **ინდირა ძაგანიამ,** მონაწილეებს მიესალმა ეკონომიკის ბიდგოშის უნივერსიტეტის პროექტის კოორდინატორი **ირინა კუდლინსკა,** კანცლერი **ფილიპ სიკორა.** პრეზენტაციას უძღვებოდნენ **მაგდალენა ბერგმანი** და **ევა კანიევსკა.**

საინფორმაციო შეხვედრის მეორე დღეს, მსმენელებს პრეზენტაცია წარუდგინა **რობერტ ლაუკსმა.** პრეზენტაციისას მან მოაწყო ვირტუალური ტური უნივერსიტეტის კამპუსში, ვიდეო და ფოტო მასალით გაუზიარა პარტნიორებს მათ უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების, ფსიქოლოგიის და კოგნიტური მეცნიერების ლაბორატორიის შესახებ. **იაცეკ რუდნევსკიმ** წარმოადგინა მესამე პრეზენტაცია – **ბენეფიციარების მოძიებისა და მოზიდვის საშუალებები.**

შეხვედრის მესამე დღე წარმოადგენდა ერთგვარ შეჯამებას. შეხვედრის ბოლოს განხილული იქნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებთან არსებული სერვისების შესახებ, რომელთაც აქვთ მენტალური ან ფსიქიკური პრობლემები. შეხვედრები დასრულდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

# ბიბლიოთეკის როლი კოვიდ პანდემიის პროცესში

ხათუნა კვინცხაძე
უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელი

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა მრავალი გამოწვევის წინაშე დადგა Covid 19-ის გამო შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე. უკვე მესამე წელი დაიწყო, რაც არაჩვეულ – ონლაინ რეჟიმში გვიწევს მუშაობა. სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამივე განყოფილების გაათმაგებული მუშაობის შედეგად, შეიქმნა საჭირო ელექტრონული სახელმძღვანელოები სასწავლო პლათფორმა Moodle-სათვის (ხდებოდა მოთხოვნილი სახელმძღვანელოების დასკანერება თემატიკის მიხედვით), ხოლო იმ რესურსისთვის, რომელიც ტევადობით იყო დიდი და ვერ ხერხდებოდა Moodle-ის პლათფორმაში ატვირთვა, სამეცნიერო ბიბლიოთეკამ შექმნა სპეციალური google.drive-ის ლინკები, სადაც დარგებისა და მიმართულებების მიხედვით განთავსდა ელექტრონული სახელმძღვანელოები.

სასწავლო რეჟიმის ონლაინ პლათფორმაზე გადასვლის მიუხედავად, წუთითაც არ შეწყვეტილა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება. უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვისას სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გასაახლებლად და შესავსებად, 2022 წელს, გამოიყო 20 000 ლარი. იანვრიდან შევიძინეთ უახლესი გამოცემები სხვადასხვა დარგების როგორც საბაკალავრო, ასე სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურისთვის.

მართალია, საბიბლიოთეკო წიგნად ფონდში გვქონდა ჩვენი გამოჩენილი და საყვარელი მწერლის ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები, მაგრამ ფონდის გასაახლებლად შევიძინეთ უახლესი „გამომცემლობა პალიტრა L“-ის მიერ გამოცემული ექვსტომეული, სადაც შესულია მწერლის ყველა ცნობილი ნაწარმოები, იუმორისტული მოთხრობები, ლექსები, წერილები და მოგონებები თვით ნოდარ დუმბაძეზე.

ასევე, შევიძინეთ გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს“ მიერ დაბეჭდილი გრიგოლ აბაშიძის ოთხტომეული; პირველი ტომი მოიცავს ავტორის პოეტურ ქმნილებებსა და პოეტურ თარგმანებს. მე-2,3,4 ტომებში წარმოდგენილია რომანები: „ლაშარელა”, „დიდი ღამე”, „ცოტნე ანუ ქართველების დაცემა და ამაღლება”, „ყორნალი”, აგრეთვე, მოთხრობები და პიესები.

წიგნადი ფონდი გავამდიდრეთ კონსტანტინე გამსახურდიას შვიდტომეულით. შევიძინეთ (2021 წელს) საპატრიარქოს მიერ გამოცემული უნიკალური წიგნი „უფლის აფთიაქი, სამკურნალო მცენარეები, მონასტრული რეცეპტები“. წიგნი განზოგადებულია და პრაქტკული მედიცინის ყველა სფეროს მოიცავს, მოყვანილია ბალახების გამოყენების 8000-მდე რეცეპტი, ეს ბუნებრივი სამკურნალო საშუალებების ენით აღუწერელი საგანძურია.

ძალიან დიდი წილი საბიბლიოთეკო ფონდის განახლებისას უკავია ნაჩუქარ წიგნებს. წელს, 8 თებერვალს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინფორმაციო შეხვედრისას, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სკოლამდელი განათლების ბავშვთა გაეროს ფონდისა (იუნესეფი) და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის სკო-



ლამდელი განათლების მიმართულებით ჩამოსული სპეციალისტები, უნივერისიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს 33 დასახელების (2278 ლარის) წიგნები ინგლისურ და ქართულ ენაზე.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა გამომცემლებთან და წიგნის მომწოდებლთა სააგენტოებთან. კონსოლიდირებული მუშაობის შედეგად, წიგნის ბაზარზე გამოსულ სიახლეებს ვაწვდით დეკანატებს და დარგის სპეციალისტებს, ისინი არჩევენ სასურველ საჭირო შესაძენ ლიტერატურას და ამის შემდეგ ვახორციელებთ წიგნების შესყიდვას.

და ბოლოს, მინდა, მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და იმ თანამშრომლებს, ვინც დროულ და კვალიფიციურ მომსახურებაში გვიწევს საჭირო თანადგომას.

# „ჩემს მედალიონს აღმოაჩნდა ულამაზესი მეორე მხარე...“

**ქართული მსოფლიოს მერვე საოცრებააო, – წერდა ამერიკელი მეცნიერი დოდონა კიზირია. რთულია, „მერვე საოცრების“ შესწავლასა და სწავლებას ემსახურებოდე. დამეთანხმებით, დიდი მონდომებაა საჭირო, ქართულ ენას უცხოენოვან ახალგაზრდებს ასწავლიდე, თითოეული ბგერის სიყვარულსა და თითოეული სიტყვის მოფერებას უნერგავდე. არიან ადამიანები, რომლებიც ამ საქმეს ათწლეულების განმავლობაში ემსახურებიან, არ უშინდებიან ბუნების მკაცრ პირობებს მაღალმთიან რეგიონებში, თავიანთ საქმეს უხმოდ და პროფესიანალურ დონეზე ასრულებენ. ერთ-ერთი ასეთი ქალბატონი გვინდა წარმოგიდგინოთ.**

**ჟანა ხაჩატურიანი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში (ახალქალაქი) ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკისა და ორთოგრაფიის პედაგოგია. რამდენიმე თვის უკან, დისერტაცია დაიცვა და ფილოლოგიის დოქტორის წოდება მიენიჭა. ასპინძაში დაბადებული და გაზრდილი ქალბატონი ახალქალაქში, ცივ და მკაცრ კლიმატურ პირობებში მასწავლებლად წასვლას ღვთის ნებად თვლის. 20 წლის წინ არც უფიქრია იმაზე, ახალქალაქში საგანმანათლებლო კერის გახსნით, სახელმწიფოებრივი ნაბიჯები რომ იდგმებოდა, დიდ ეროვნულ საქმეს რომ ემსახურებოდა ყველა ის ადამიანი, რომლებიც იქ მასწავლებლად წასული გუნდის წევრები იყვნენ.**

**როგორც წარმატებულმა სტუდენტმა, ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო კერის გახსნისას, პედაგოგად მუშაობის შეთავაზება მიიღო. 20 წელია, მისთვის საყვარელ საქმეს ემსახურება. დღეს სომხურენოვანი ახალგაზრდებისთვის სახელწიფო ენის შესწავლა მისი უსაყვარლესი საქმიანობაა.**

***– გერმანელი კომპოზიტორი კარლ ვებერი ამბობდა: „ადამიანებად ჩვენ გვხდიან დედა და მამა, ადამიანურად კი – აღზრდა“. თქვენს პიროვნებაში ადამიანისა და ადამიანურობის მშვენიერი სინთეზია. ამ სინთეზის მიღწევისთვის როგორი გზა განვლეთ? მოგვიყევით თქვენს შესახებ, გაიხსენეთ სკოლისა და სტუდენტობის პერიოდი.***

– დავიბადე და გავიზარდე ერთ მშვენიერ, ისტორიულ და სტუმართმოყვარე რაიონში – ასპინძაში. დავამთავრე ასპინძის საშუალო სკოლა, 1997 წელს. გამიმართლა, რადგან საუკეთესო მასწავლებლები და კლასელები მყავდა. სკოლიდანვე გამორჩეულად მიყვარდა ქართული ენა, თუმცა, როდესაც ჯერი მიდგა პროფესიის არჩევაზე, გადავწყვიტე, უცხო ენებზე, კონკრეტულად, გერმანული ენის მიმართულებით ჩამებარებინა. გავხდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის უცხო ენათა ფაკულტეტის სტუდენტი.

ოთხი ულამაზესი და ნაყოფიერი წელი გავატარე უნივერსიტეტში. ვსწავლობდით როგორც გერმანულ ენას, ასევე, ქართულ ენასა და ლიტერატურას. მინდა ვაღიარო, რომ განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა ქართულ ენასა და ლიტერატურასთან. არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება დავტოვო, რომ გერმანული ენა ნაკლებად მიყვარდა. არა, უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ თავს უფრო ლაღად და ბედნიერად ვგრძნობდი, როდესაც ქართულ ლიტერატურასა და ენასთან მქონდა შეხება. ვცდილობდი, არ გამომეტოვებინა არცერთი სტუდენტური კონფერენცია.

უნივერსიტეტის დასრულებისთანავე, მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების სურვილი გამიჩნდა. სამწუხაროდ, მაშინ ჩვენს უნივერსიტეტს სამაგისტრო პროგრამები არ ჰქონდა. შესაბამისად, სწავლა თბილისში უნდა გამეგრძელებინა, რისი საშუალებაც, იმ ეტაპზე, ჩემს ოჯახს არ ჰქონდა. თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ცხოვრების არცერთი წუთი არ გამიტარებია უქმად. მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც გავბედე და სკოლის მოსწავლეებს ვამეცადინებდი გერმანულ ენაში. ჩემდა გასაოცრად, გამოუცდელ გოგოს – აწ უკვე მასწავლებელს, ძალიან კარგმა ოჯახებმა მანდეს თავიანთი შვილები. თავდაუზოგავად ვშრომობდი, ვსწავლობდი და ვასწავლიდი, რომ გამემართლებინა ამ ხალხის იმედები. დედა მუდმივად მახსენებდა საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას და ერთ ცნობილ გამონათქვამს ხშირად მიმეორებდა – „საკუთარი ცხოვრების სიწმინდე აუცილებელი პირობაა, რომ სხვა აღზარდო და გაანათლო“. დღითიდღე ამ ცნების ჭეშმარიტებაში ვრწმუნდები.

***– 2002 წელს, ახალქალაქში ისტორიული მოვლენა მოხდა – გაიხსნა თსუ-ს ჯავახეთის ფილიალი. როგორ დაიწყო ამ უნივესიტეტთან თქვენი ურთიერთობა? საინტერესოა, თქვენი იმდროინდელი განცდების ფურცელზე გადმოტანა. როგორი გახსოვთ მაშინდელი ახლადფეხადგმული უნივერსიტეტი?***

– სულ რაღაც, ერთ წელიწადში, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ მე ჯავახეთის ფილიალში ვიყავი საჭირო. დიახ, ეს გახლდათ ისტორიული დღე ჯავახეთისთვის. ალბათ, ვერც კი ვაცნობიერებდი მაშინ, როგორი სახელმწიფოებრივი ნაბიჯები იდგმებოდა, როგორ დიდ, ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა ყველა ის ადამიანი, ვინც ამ უძლიერესი, მოტივირებული გუნდის წევრი იყო; არ უშინდებოდა არც იმ საშინელ გზას, რომლის გავლაც, სულ მცირე, კვირაში რამდენჯერმე უწევდა, არც არაკომფორტულ გარემოს, არც კლიმატს და არც სხვა წინააღმდეგობას, რომელიც ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე ხვდებოდათ. შემოთავაზებამ ცოტა დამაბნია. უნივერსიტეტის მერხიდან ლექტორის თანამდებობა ერთგვარი პლატფორმა იყო, თან – მომხიბვლელი წინადადება, ამავდროულად, უდიდესი პასუხისმგებლობა იმ ადამიანების წინაშე, ვინც ეს საქმე მანდო და იმ სტუდენტების წინაშე, ვისთვისაც უნდა მესწავლებინა. თუმცა, უარის თქმა არცერთი წუთით არ მიფიქრია.



მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი უცხო იყო ჩემთვის და სომხურ ენასაც საკომუნიკაციო დონეზე ვფლობდი, მაინც გადავწყვიტე ახალქალაქში წასვლა... ვფიქრობ, ეს გზა უნდა გამევლო. ეს უფლის ნება იყო... ამბობენ, მედალიონს ორი მხარე აქვსო. ჩემს მედალიონსაც აღმოაჩნდა მეორე მხარე, უფრო მშვიდი და ლამაზი.

ძალიან კარგი მეგობრები გავიჩინე, ხუთი გოგო ვცხოვრობდით ერთად, ხუთივეს საერთო მიზნები და მისწრაფებები გვაერთიანებდა. ერთი ოჯახი ვიყავით. ეს წლები, ჩემს მეხსიერებაში ულამაზეს მოგონებებად დაილექა. მედლის კარგ მხარედ, ასევე, ჩემი ოჯახის შექმნა ითვლება. 2004 წელს სიყვარულით შევქმენი ოჯახი, დავრჩი ახალქალაქში, მე და ჩემს მეუღლეს გვყავს ორი ვაჟიშვილი – 16 წლის არსენი და 11 წლის ანატოლი (ბუბა).

დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კორპუსი და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი გარემონტებულია, ბევრი რამ უკეთესობისკენ არის შეცვლილი. ეს ყველაფერი კი ძალიან ღირებულია ჩვენი რეგიონის ახალგაზრდებისთვის.

***– რას გვეტყვით იმ სტუდენტებზე, რომლებიც დიდი მონდომებით ეუფლებიან ქართულ ენასა და ლიტერატურას?***

– მოგეხსენებათ, IV კორპუსი, ძირითადად, სომხურენოვანი სტუდენტებით არის დაკომპლექტებული. ქართული ენის ცოდნის მხრივ, სტუდენტთა განსხვავებული დონე შემოდის. პედაგოგს დიფერენცირებული მიდგომა სჭირდება აუდიტორიასთან, უამრავი განსხვავებული აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება გიწევს, რაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს. თუმცა, შედეგი ამართლებს. შემოდიან ისეთი სტუდენტებიც, რომლებმაც ქართულად მხოლოდ წერა-კითხვა იციან, მაგრამ მერწმუნეთ, ჩვენი პედაგოგების ძალისხმევით, უდიდესი შრომის შედეგად, ჩვენგან სუფთა ქართულის მცოდნე და კვალიფიციური კადრები გადიან. თუ გადავხედავთ ახალქალაქის სახელმწიფო სექტორს, მაგალითად – საკრებულოს, მერიას, იუსტიციის სახლს, სკოლას თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს – საბანკო სექტორს, არასამთავრობო-საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ უნივერსიტეტმა, თავის დასახულ მიზანს უკვე მიაღწია. ჩემ მიერ ჩამოთვლილ ყველა სექტორში ჩვენი კურსდამთავრებულები არიან დასაქმებულები და სხვა ახალგაზრდებს ღირსეულ კონკურენციას უწევენ.

***– პანდემიის პერიოდმა შეცვალა სწავლის პროცესი. რამდენად რთულია სომხურენოვან ახალგაზრდებს დისტანციურად აუხსნა ქართული ენის საკითხები?***

– პანდემიის გამო, პედაგოგებსაც და ჩვენს სტუდენტებსაც, მოგვიწია, დაჩქარებულად აგვეთვისებინა ონლაინ და ვირტუალური საკლასო ოთახების მართვის ინსტრუქციები. ჯერჯერობით, რთულია ონლაინ სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასება, რა თქმა უნდა, ამ პროცესს თან ახლავს გარკვეული სირთულეები. ერთ-ერთ პრობლემად დარჩა ინტერნეტზე წვდომა და ინტერნეტის დაბალი ხარისხი. ძალიან რთულია, როდესაც სტუდენტის ემოციას ვერ ადევნებ თვალყურს, უხსნი და ასწავლი ენას, რომელიც მისთვის ჯერ უცხო და რთულია და ეკრანიდან გიწევს მათთვის ახსნა-განმარტებების მიცემა. მაგრამ ეს მსოფლიო რეალობაა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ამ რეალობას თვალი გაუსწორა და დისტანციურ სწავლა-სწავლებაზე გადასვლასს წარმატებით გაართვა თავი.

***– სულ ახლახან დაიცავით დისერტაცია.***

– დიახ, სულ ახლახან, 2021 წლის 12 ნოემბერს, დავიცავი დისერტაცია თემაზე **„სახელთა ბრუნება ქართულსა და სომხურ ენებში“.**

მინდა აღვნიშნო, რომ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების არსებობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგიონის განვითარებისთვის. ჩემი მაგალითიდან შემიძლია გითხრათ, რომ უმაღლესი განათლების სამივე საფეხური, ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტში გავიარე. რომ არა ჩვენს უნივერსიტეტში არსებული პროგრამები, ალბათ, ვერ მივაღწევდი ამ წარმატებას. ამ პროგრამების არსებობისთვის კი, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო უნივერსიტეტის რექტორს, ქალბატონ მაკა ბერიძესა და რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, პროფესორ მერაბ ბერიძეს.

დისერტაციის თემატიკა შევარჩიეთ ჩემი საქმიანობიდან გამოდინარე. გადავწყვიტე, მეკვლია ის საკითხები, რომლებიც ყოველდღიურად აუდიტორიაში, ჩემს სტუდნტებთან მუშაობისას, კერძოდ, ქართული ენის სწავლების დროს წარმოიქმება ხოლმე. ვიმედოვნებ, რომ ამ მიმართულებით მუშაობისთვის, ჩემ მიერ ჩატარებულ კვლევას, შეიძლება ჰქონდეს რაიმე ღირებული მნიშვნელობა.

ყველასათვის ცნობილია, რომ დღემდე სახელმწიფოს მთავარ გამოწვევად რჩება სახელმწიფო ენის სწავლების საკითხი. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავდაუზოგავად შრომობს ამ ეროვნული საკითხის ოპტიმიზაციისთვის. ამას მოწმობს ბოლო წლებში არაქართულენოვან სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობაც. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ უნივერსიტეტს უკვე ლომის წილი აქვს შეტანილი ამ უდიდეს, სახელმწიფოებრივ საქმეში. მე ამაყი ვარ, რომ გახლავართ ამ უძლიერესი გუნდის ერთ-ერთი წევრი, აგერ, უკვე მეოცე წელიწადია.

***– მადლობა, ქალბატონო ჟანა, საინტერესო საუბრისთვის.***

*ინტერვიუერი*
***ლიკა ზაზაშვილი***



# ესსეების კონკურსი ბავშვთა უფლებების საკითხებზე

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტში ბავშვთა უფლებების ცენტრმა, სკოლის მოსწავლეებისთვის, 14 თებერვალს, ესსეების კონკურსი გამოაცხადა ბავშვთა უფლებების საკითხებზე.

ცენტრი 2021 წელს დაფუძნდა და წარმატებით ფუნქციონირებს უსდ-ს ორივე ლოკაციაზე – ახალციხესა და ახალქალაქში.

23 თებერვალს, ახალციხის ბავშვთა უფლებების ცენტრს გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში – **ჰასან ხალილი** ეწვია და უნივერსიტეტის რექტორთან – **მაკა ბერიძესთან**, ერთად ესსეების ავტორი ბავშვები სამახსოვრო სერთიფიკატებით დააჯილდოვა.

ბავშვთა უფლებების ცენტრი საქართველოში ნორვეგიის საელჩოს მხარდაჭერით დაარსდა.

ესსეების კონკურსში თემაზე **„ბავშვის უფლებები და ინკლუზიური განათლება"** მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა მოსწავლემ. წარმოდგენილი იყო როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური პროექტები სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტის სკოლიდან: ახალციხე, ასპინძა, ადიგენი, ბორჯომი, ახალქალაქი, ნინოწმინდა.

საინტერესოდ წარიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. მონაწილე კონკურსანტებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ცერემონიალში, ასევე, მონაწილეობდნენ გაეროს ბავშვთა ცენტრის ექსპერტები: **ნათია ჯოხაძე,** საზოგადოებასთან ურთიერთობის სასმსახურის წარმომადგენელი – **სოფო ჭაავა,** უნივერსიტეტის რექტორის მოადილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე,** ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი **როინ თათეშვილი**, განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი **ირმა ქურდაძე**, სკოლების დირექტორები.

დაანონსდა საერთაშორისო მასშტაბური კონფერენცია განათლების მიმართულებით, რომელიც სექტემბერში გაიმართება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

# ანა არუთუნიანი – საუკეთესო ესსეის ავტორთა შორის

**22 იანვარს,** ორგანიზაციების – ქალები ცვლილებებისათვის • Women for Change, Team Education GE • თიმ ედუქეიშენ ჯი და სამართლის ასოციაცია/Law Association ხელშეწყობით ჩატარდა სტუდენტური საკონკურსო კონფერენცია სახელმწიფოსა და საზოგადოების გამოწვევები ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით.

კონფერენცია ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა და მასში მონაწილეობა იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებმა მიიღეს.

პროექტში წარმოდგენილი ესსედან 20 შეირჩა, შემდეგ – 10 და საბოლოოდ 6 საუკეთესო ესსეს ავტორმა საკუთარი ნაშრომი 22 იანვარს ონლაინ კონფერენციის ფორმატში წარადგინა.

კონფერენციაზე პირველი ადგილი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტმა **ანა არუთუნიანმა** დაიკავა.

**ამონარიდი ანას ნაშრომიდან:**

ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა ჩვენი სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს და ძალადობის პრევენციის მიზნით ხორციელდება გარკვეული ღონისძიებები, თუმცა, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ძალადობის მსხვერპლი არ დარჩეს სოციალური და ინსტიტუციური მხარდაჭერის გარეშე და ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე მოხდეს სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება. აუცილებელია, ხელისუფლებამ გააკეთოს მკაფიო განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ ძალადობას მოყვება შესაბამისი რეაგირება. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის რეციდივის პრევენციის მიზნით მიზანშეწონილია, ასევე, განხორციელდეს მონიტორინგი მიმდინარე პერიოდში პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ პატიმრებზე, რომელთა ისტორიაში ფიქსირდება აღნიშნული კატეგორიის დანაშაულთა ჩადენა. აგრეთვე, მნიშვნელოვანი და უპირობოდ აუცილებელია, შემუშავდეს ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების გაფართოების სტრატეგია და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყოს მსხვერპლთა ალტერნატიულ საცხოვრებელში განთავსება.

და ბოლოს, ჩემი აზრით, აღნიშნული პრობლემა ანუ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა წარმოადგენს მენტალურ პრობლემას, სადაც ქალის ცემა „გამართლებულია", სადაც ჩივილი სამართალდამცველებთან „ცუდი" საქციელია. ვთვლი, რომ საქმე გვაქვს მენტალურ სიმახინჯესთან, რომელსაც მხოლოდ სახელმწიფოს ჩართულობა ვერ მოაგვარებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში. აუცილებელია, დაიწყოს აქტიური ინფორმაციული, შემეცნებითი კამპანია (მათ, შორის, უმცირესობების ენებზე) ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, რათა საზოგადოება მიხვდეს – ძალადობა დასაგმობია და ამაზე საუბარი სირცხვილი არაა.



სანამ ძალადობის ფაქტს სხვის პირადულად ჩავთვლით, სანამ გვეგონება, რომ ქალს ნაკლები უფლება აქვს, ვიდრე მამაკაცს, სანამ არ მივხვდებით, რომ ღვთისა და ერის წინაშე ყველანი თანაბარუფლებიანები ვართ (ამას კონსტიტუციაც მოწმობს), ძალადობის პრობლემა მუდამ იდგება."

# „გულიდან გულამდე"

**„მოკრძალებულობა** გონიერების ნიშანია". – ამ გამონათქვამის სისწორეში დარწმუნდებით, როდესაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ სტუდენტს გაგაცნობთ. ის უკვე წიგნის ავტორია. მისი ნაწარმოები დაიბეჭდა კონკურსში გამარჯვებულთა კრებულში – **„ეკრანი".** ამ ეკრანიდან ეცნობა საზოგადოება მის ნააზრევს. არ უყვარს ხმაური, რომ წარმატებას მიაღწია. მასთან საუბრის დროს მიხვდებით, რომ ამ მოკრძალებული გოგონას მიღმა გონიერი, მიზანსწრაფული ახალგაზრდა იმზირება. „გულიდან გულამდე" – ასე უწოდა მოთხრობას. მკითხველის გულამდე მისასვლელად, მოდით, გავიცნოთ **მარიამ ოქრომელიძე**, ინგლისური ფილოლოგიის მე-4 კურსის სტუდენტი. უყვარს მუზეუმები, ლიტერატურა, მხატვრული წერა, ახალი აღმოჩენები, მუსიკა, ხელოვნება და, საერთოდ, ყველაფერი, რაც კი ესთეტიკასთან კავშირშია. ცდილობს, წაიკითხოს ბევრი წიგნი, იყოს რეალისტი და პოზიტიურად შეხედოს ცხოვრებისეულ ახალ გამოწვევებს.

2018 წელს დაამთავრა ახალციხის №1 საჯარო სკოლა. ამაყობს, რომ ამ სკოლის კურსდამთავრებულია. ამბობს, რომ არასოდეს ყოფილა საუკეთესო მოსწავლე, თუმცა, ყოველთვის ცდილობდა, კარგად ესწავლა. გვეუბნება, რომ თუ ადამიანებს ორად – მსმენელებად და მოსაუბრეებად დავყოფთ, ის მსმენელთა ტიპს მიეკუთვნება, რადგან ბუნებით ინტროვერტია. ახსოვს, როგორი წყნარი მოსწავლე იყო, მუდამ მასწავლებლებს უსმენდა და დღესაც, ისევე როგორც ადრე, სხვების მოსმენა ეხმარება უფრო მეტი იფიქროს და აზროვნების სხვადასხვა სიღრმეებს ჩასწვდეს.

წერისა და წიგნის მოყვარულ გოგონას რა უნდა აერჩია სპეციალობად, თუ არა ფილოლოგიის მიმართულება?! ის ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტია. უნივერსიტეტის შერჩევისას უპირატესობა მშობლიურ ქალაქსა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს



მიანიჭა. კითხვაზე – რატომ აირჩია ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობა, მარტივი პასუხი აქვს. აირჩია, რადგან ინგლისური Lingua Franca-დ გადაიქცა და მეტად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში. სწორედ ამიტომ მიიჩნია, რომ ინგლისურის უკეთ შესწავლით შეუძლია, საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში.

ადგილზე რომ მიელო განათლება, ამ გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვი არასოდეს შეპარვია, რადგან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საკუთარი როლი შეასრულა და დაეხმარა პიროვნული განვითარებისა და წარმატებული გზის გაკვლევაში.

2021 წელს იუნესკომ ჩვენს დედაქალაქს, თბილისს, წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი მიანიჭა, რის შედეგადაც განხორციელდა არაერთი შესანიშნავი პროექტი და კონკურსი. **„სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი"** მარიამისთვის უდაოდ წარმატებული, ღირებული და ნაყოფიერი აღმოჩნდა. კონკურსი ორ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველ ეტაპზე, სტუდენტებს უნდა დაეწერათ მოკლე მოთხრობა. სულ თხუთმეტი გამარჯვებული გამოარჩიეს, რომელთა შორის ერთ-ერთი მარიამი გახლდათ. ოთხი დღის განმავლობაში მარიამი იმყოფებოდა კახეთში, სადაც თანამედროვე, წარმატებული ავტორები და გამომცემლები გაიცნო. მათ ლექციები ჩაუტარეს და გაუზიარეს გამოცდილება. ასწავლეს, თუ როგორ ხდება წიგნის გამოცემა, რომელი დეტალები უნდა იქნას გათვალისწინეული წერის პროცესში და სხვა.

ამ პერიოდში, მარიამმა გაიცნო დანარჩენი 14 გამარჯვებული კონკურსანტი სტუდენტი, ნიჭიერი და მოტივირებული ახალგაზრდები, რომლებიც წერითა და ლიტერატურით იყვნენ გატაცებული. ამასთან, მათი სახით, კარგი მეგობრები შეიძინა. მეორე ეტაპი ითვალისწინებდა, მიღებული ცოდნის გამოყენებით, შეექმნათ ახალი მოთხრობა, რომელიც უკვე წიგნად გამოიცემოდა და გაიმართებოდა დაჯილდოვება, სადაც გამოავლენდნენ სამ გამარჯვებულს.

მარიამმა ორი კვირის განმავლობაში დაწერა მოთხრობა, რომელიც მისთვის მწერლობისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად იქცა. „პალიტრა ელმა" გამოსცა თხუთმეტი გამარჯვებულის მოთხრობათა კრებული, სახელწოდებით „ ეკრანი" და ეს არის წიგნი, რომლის გამოც მარიამს დღეს ავტორი ჰქვია.

„გულიდან გულამდე", – ასე უწოდა მრიამმა მოთხრობას. მარიამის აზრით, სწორედ გულია კაცთა ზნეობის ქვაკუთხედი. სიუჟეტი მესხეთში ვითარდება. მთავარ თემებთან ერთად, გამოიყოფა ქვეთემები, რომელთა ნაწილიც აქტუალურია წარსულსა თუ დღევანდელობაში. ნაწილი მხოლოდ წარსულს ეკუთვნის და მისსავე საკუთრებაში რჩება. პერსონაჟები უცნაურები, ხანდახან ზედმეტად ბანალურები არიან. ისინი ვერ იბრძვიან, ან იბრძვიან მცირე ძალებით, როგორც მათ შეუძლიათ. ღმერთი კი გულს ხედავს, იმ გულს, რომელიც ნამდვილია.

მოთხრობა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში მესხური დიალექტებია გამოყენებული. ეს მოკლედ მოთხრობის შესახებ. მთავარი წინაა, მისი წაკითხვის შემდეგ.

**ეს კონკურსი საკუთარი თავისა და ახალი ადამიანების გაცნობაში დამეხმარა, მომცა გამოცდილება, მაჩვენა გზა, რომ ჩემში ახალი ნიჭი აღმომეჩინა და გამიღრმავა საკუთარი თავის რწმენა. ამასთანავე, მასწავლა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ – ადამიანებს ყველაფერი შეგვიძლია. მთავარია სურვილი, მტკიცე სურვილი იმისა, რომ აღმოვაჩინოთ ჩვენში დამალული ნიჭი და ვაკეთოთ საკუთარი საქმე.**

მარიამი ვერასოდეს დაიჯერებდა, რომ მხატვრული წერა მის საყვარელ საქმედ იქცეოდა.

ამბობს, რომ ადამიანის ნიჭი და შესაძლებლობები მეტად მრავალფეროვანია. ამიტომ, მუდამ საკუთარი თავის აღმოჩენაში უნდა ვიყოთ. თანატოლებს ურჩევს, რომ აკეთონ ის, რაც უყვართ და სასურველ საქმეზე არასოდეს თქვან უარი. ნუ იქნებიან ინერტულები და მონაწილეობა მიიღონ ყოველგვარ კონკურსში, მაშინაც კი, როდესაც ფიქრობენ, რომ ეს მათი ინტერესის სფერო არაა.

**მერე რა, თუ რაიმე ვერ გამოგდით კარგად, ან ვერ მიაღწიეთ სასურველ შედეგს?! ნუ შეგაშინებთ მარცხი, რადგან ყოველი მარცხი გამარჯვების დასაწყისია. სწორედ ამგვარი მცდელობით მოიპოვება წარმატება. წარმატება კი ერთი გამარჯვება არაა, წარმატება ბევრი პატარა გამარჯვების ერთობლიობაა. უნდა სცადოთ ყველაფერი, რაც ჭეშმარიტად კარგი და სასიკეთოა. მუდმივად ეძებეთ სიახლეები, კონკურსები და ძალიან ბევრჯერ სცადეთ. მთელი თქვენი ენერგია გამარჯვების მცდელობისაკენ მიმართეთ და ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოგივათ, რადგან არცერთი მცდელობა არაა ამაო, რადგან ყოველ მცდელობას გამოცდილება და ახალი ცოდნა მოაქვს.** – ასე ფიქრობს მარიამი. თავად სიახლეების მოძებნა და მცდელობა საკუთარ კრედოდ აქცია. არც ისე დიდი ხნის წინ, მონაწილეობა მიიღო ესსეების კონკურსში, რომელიც კონფლიქტებს ეხებოდა. ცხადია, ეს თემა მის სპეციალობას სრულებითაც არ ეხებოდა, მაგრამ მაინც სცადა. მართალია, ცდამ არ გაამართლა, მაგრამ ამ კონკურსმა მისცა ცოდნა და ძალა იმისა, რომ ერთი შეხედვით უარყოფით მოვლენებს სხვა კუთხით შეხედოს და მათშიც მონახოს რაღაც ისეთი, რამაც მის ცხოვრებაში მათი არსებობა განაპირობა.

წარმატება ვუსურვოთ მარიამს.

***ლიკა ზაზაშვილი***

## ჩვენი კურსდამთავრებული

# „ჩემი წარმატება უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების დამსახურებაა“

**მისთვის** ყოველი დღე მოსწავლეებზე ფიქრით თენდება. იცის, რომ კარგმა მასწავლებელმა მოსწავლეებს სამშობლოს სიყვარული უნდა ასწავლოს, სიმართლე კი არა, სიმართლის პოვნა უნდა ასწავლოს. იცის, რომ კარგმა მასწავლებელმა უნდა გააცნობიეროს ახალი, შეაფასოს ძველი, რომ სრულყოფილი ცოდნა გადასცეს მოსწავლეებს. ამიტომ, უყვარს კითხვა, ბევრს კითხულობს, აგროვებს წიგნებს და მათი ჩუქებით ადამიანებს სიხარულს ანიჭებს.

სამშობლოზე, მრავალსაუკუნოვან ქართულ ენაზე შეყვარებული ადამიანი, ვისთვისაც თითოეული მოსწავლე სამშობლოს ნათელი მომავალი, ძალა და უკეთესის იმედია, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული **ლილი შაყულაშვილი** გახლავთ.

ლილი ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისიდანაა. დაამთავრა ამავე სოფლის საჯარო სკოლა. სკოლაში ჰუმანიტარული საგნების მიმართ მისი სიყვარული განსაკუთრებული იყო. ეამაყება, რომ მრავალსაუკუნოვანი ერის შთამომავალია, ერის, რომლის დამწერლობა მსოფლიოს 14 დამწერლობას შორისაა. სამშობლოს და ქართული ენისადმი დიდმა სიყვარულმა, რომელიც ოჯახმა და მისმა პედაგოგებმა შთააგონეს, მისცა ბიძგი, მომავალ პროფესიად ქართული ფილოლოგია აერჩია. 2010 წელს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩააბარა. ამბობს, რომ სხვა უნივერსიტეტში სწავლაზე არ უფიქრია, რადგან მეგობრებისაგან იცოდა – ამ უნივერსიტეტში მაღალი დონის სწავლება იყო. მოლოდინი გაუმართლდა. პროფესიონალ ლექტორთა გუნდი ასწავლიდა. დადებითად იხსენებს სტუდენტობის პერიოდს. შეიძინა ბევრი მეგობარი, გაიცნო მზრუნველი ლექტორები, რომელთა წყალობითაც არჩეული პროფესია უფრო შეუყვარდა. ამბობს, რომ ამ წლებმა უამრავი მოგონება და დიდი გამოცდილება დაუგროვა.

ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ, ასოცირებული პროფესორის ვახტანგ ინაურის რჩევით, სამაგისტრო გამოცდები ჩააბარა. პარალელურად, მიიღო მონაწილეობა მასწავლებლის სახლის მიერ გამოცხადებულ პროგრამაში **„ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“.** ორივე გამოწვევა წარმატებით დაძლია.

უნივერსიტეტში ერთი წელი აკადემიური აიღო და სამუშაოდ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ იფნარის აზერბაიჯანულენოვან სკოლაში მოხალისე მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, მოსწავლეებს საკომუნიკაციო ქართულს ასწავლიდა. ერთი წლის შემდეგ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე განაგრძო სწავლა.

**ეს ორი წელი ჩემს ცხოვრებაში გამორჩეული აღმოჩნდა,** – ამბობს ლილი, – **შთაბეჭდილებებითა და ემოციებით სავსე. თითქმის, ყოველ კვირა დავდიოდით ექსპედიციებზე, ქალბატონ მაკა ბერიძესთან და ბატონ მერაბ ბერიძესთან ერთად. ამ არაჩვეულებრივ ადამიანებთან გატარებული წლები დაუვიწყარია ჩემთვის. მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს ჩემი, როგორც პროფესიის ერთგულ ადამიანად ჩამოყალიბების საქმეში.**

მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ, ლექტორების რჩევით, ახალციხის კერძო სკოლაში გაიარა გასაუბრება და, რამდენიმე დღეში, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და სკოლაში განაგრძო პედაგოგიური მოღვაწეობა, დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. შემდეგ, მალევე ჩააბარა მასწავლებლის გამოცდა და ამავე სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატრის პედაგოგი გახდა.

მიზანდასახული ადამიანი არასოდეს ჩერდება. ლილი შაყულაშვილმა იცის, რომ მასწავლებელი უნდა იყოს მოსწავლის სურვილის გამთვალისწინებელი. სწორედ, ამ მიზნით, 2020 წელს, სოფელ ტაძრისში დააარსა სასწავლო ცენტრი **„ელი“.** პროექტი **„რეგიონული განვითარების ასოციაციის“** მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარადგინა. იგი ბიზნესში ქალთა ჩართულობას ითვალისწინებდა. რადგან ხედავდა, როგორ სჭირდებოდათ მოსწავლეებს დამატებითი მეცადინეობა და ზოგიერთს ამისი საშუალება არ ჰქონდა, გადაწყვიტა, დაეწერა ბიზნესგეგმა სასწავლო ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით.



იდეამ გაიმარჯვა და მალევე გაიხსნა, თანადაფინანსებით, საკლასო ოთახი. იმის გამო, რომ სოფელ ტაძრისის სიახლოვეს მსგავსი ცენტრი არ არსებობს, მოსწავლეთა მხრიდან დაინტერესება მაღალი აღმოჩნდა. ცენტრში აბიტურიენტებს შეუძლიათ მოემზადონ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ხოლო დაწყებითი კლასის მოსწავლეებს, სურვილისამებრ, ყველა საგანში, რა თქმა უნდა, ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასებში. ამჟამად, ცენტრში პედაგოგი მხოლოდ ლილი შაყულაშვილია. იგეგმებოდა სხვა საგნების პედაგოგთა მუშაობაც, თუმცა, პანდემიამ ეს პროცესი სამომავლოდ გადადო.

**უნივერსიტეტმა და ჩემმა ლექტორებმა უდიდესი როლი შეასრულეს ჩემს წარმატებაში და დღესაც ასე გრძელდება. ჩემი თითოეული წარმატება, ჩემს ოჯახთან ერთად, ჩემი პროფესორ-მასწავლებლების დამსახურებაა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 4 წელია უნივერსიტეტი დავამთავრე, დღესაც ვგრძნობ ჩემი ლექტორების მხარდაჭერას, ვგრძნობ, რომ ჩემი წარმატება ახარებთ და ეს ჩემთვის უდიდესი მოტივაციაა. ამისთვის მათ უდიდეს მადლობას ვუხდი.** – გვეუბნება ჩვენი ნარკვევის გმირი.

კითხვაზე, თუ რას ეტყოდა მომავალ თობას, გვპასუხობს: **ისწავლონ, ბევრი იკითხონ, დრო ფუჭად არ დაკარგონ, ტელეფონებთან ნაკლები დრო გაატარონ და ერთმანეთთან ჰქონდეთ მეტი ურთიერთობა. დაისახონ მიზანი და ამ მიზნისკენ ისწრაფონ.**

*ლიკა ზაზაშვილი*

# მოისხი ცოდნის „მანტია“

## ქართულ-ამერიკული მომავლის კლუბი „მანტია“

## GEORGIAN AMERICAN FUTURE CLUB - MANTLE

**ამერიკის** შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საბაზისო განათლების პროგრამა წარმოგიდგენთ ახალ ინიციატივას, რომელსაც **„იდეატორთა კლუბები“** ეწოდება. ინიციატივის ფარგლებში, დაწყებითი საფეხურის მეოთხე-მეექვსე კლასების მოსწავლეები გამოიმუშავებენ კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის ინოვაციურად გადაჭრის უნარებს გუნდურ პროექტებზე მუშაობისას.

კლუბები დაარსდა სკოლის ბაზაზე და მათში გაწევრიანდნენ მე-4, მე-5 და მე-6 კლასების მსურველი მოსწავლეები. კლუბების ამოქმედებისა და გუნდური პროექტების განხორციელების პროცესს უძღვებიან USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის პარტნიორი უნივერსიტეტის (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მოხალისე სტუდენტები.

პროფესორი, განათლბის დოქტორი ქალბატონი **ირმა ქურდაძე** სამცხე-ჯავახეთის რეგიონში USAID საბაზისო განათლების პროგრამის ხელმძღვანელია; მასწავლებლებთან, მომავალ პედაგოგებთან მუდმივი კომუნიკაციით ხარისხიან განათლებასა და მოსწავლეზე, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სწავლებას უზრუნველყოფს.

აღნიშნული პროექტი მომავალ მასწავლებლებს და დღეს წარჩინებულ სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის დაგეგმონ ინტერაქციული აქტივობები.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მუნიციპალიტეტებიდან შერჩეულია ხუთი სკოლა და თითოეულ სკოლას ხელმძღვანელობს საბაზისო განათლების პროგრამის ტრენერი. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტრენერი გახლავთ ქალბატონი **ირმა ხუნდაძე**, რომელიც ორ მომავალ მასწავლებელს – წარჩინებულ სტუდენტებს, პროექტის განხორციელებაში ტრენერობას უწევს.

აღნიშნული პროექტის, USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ბორჯომის №1 საჯარო სკოლასთან ერთად, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით, შექმნა ქართულ-ამერიკული მომავლის კლუბი „მანტია”. კლუბის მიერ დაგეგმილი აქტივობები პროექტში მონაწილე მოსწავლეებს შესძენს ტრანსფერულ უნარებს.



ხარისხიანი განათლება ძლიერი მომავლის საწინდარია. თითოეულ მოსწავლეს ვუსურვებ ოცნებების ახდენას, რომლებზეც ჩვენს ჩაწერილ ვიდეოშიც ისაუბრეს. შეხვედრისას შევთანხმდით, რომ სურვილების ასასრულებლად კარგად სწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. წინ სასიამოვნო შეხვედრების უკვე დიდი მოლოდინია მონაწილეების მხრიდან. მათ გამოიგონეს ზღაპრები ბედნიერი დასასრულით. მალე ზღაპრების აუდიო და ბეჭდურ ვერსიასაც წარმოვადგენთ, წინ კი მათივე ზღაპრით შექმნილი მინისპექტაკლი **„წელიწადი – ჩვენ სულ ერთად ვართ“** და დაჯილდოვების ცერემონიალი გველის.

ჩვენი ერთ-ერთი მორიგი მოლოდინებით სავსე შეხვედრისას საახალწლო განწყობაც შეიქმნა. პროექტში ჩართულმა მოსწავლეებმა ბორჯომისა და ნაძვის ხის სავიზიტო ბარათის დეტალით ულამაზესი საჩუქარები დაამზადეს სკოლისთვის და ოჯახის წევრებისთვის. მომავლის კლუბის წევრებმა საჩუქარი სკოლას თავად გადასცეს. თოვლის ბაბუას სურვილებიც მისწერეს და ნაძვის ხის მოსართავად შინ წაიღეს. მოსწავლებმა ინატრეს, რომ ჩვენი პროექტი კიდევ დიდხანს გაგრძელდეს.

მონაწილეები შეხვედრისას იყენებენ პროექტის ერთ-ერთ უკვე ტრადიციულ აქტივობას „თავისუფალი დრო”, რომელიც თავისუფალი დროის სწორ მართვას, ინტერნაციონალურად გამოყენებას გულისხმობს. მათ დაფასთან სიტყვების მინიშნებებით ამოცნობა სცადეს, რაც შესანიშნავად გამოუვიდათ.

შთამბეჭდავი იყო ხატვის მასტერკლასი ქალბატონი **ნათელა ღლონტისგან**. ერთ სახატავ დაფაზე გუნდურად დახატული წელიწადის ოთხი დრო. ჩვენი სტუმარი სათქმელს მისი მოსწავლეების საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებებით ამბობს.



ასეთი ფერადი სამყარო სურთ მომავალ თაობას. კიდევ ერთხელ ულრმესი მადლობა ქალბატონ ნათელა ღლონტს ზღვა დადებითი ემოციისთვის.

**ნათია/ხატია გვარამაძე,** მომავალი მასწავლებელი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი: **გვიხარია, რომ წარმოვადგენთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ჩართული ვართ USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის მიერ შემოთავაზებულ პროექტში. პროექტი უზრუნველყოფს როგორც ჩვენს პროფესიულ განვითარებას, ასევე, მოსწავლეების კოგნიტური სწავლებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების დაუფლებას. მოგეხსენებათ, ბორჯომის №1 საჯარო სკოლაში შევქმენით ქართულ-ამერიკული მომავლის კლუბი „მანტია”, სადაც გაწევრიანებული არიან დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები და გვაქვს მრავალმხრივი აქტივობები და ინფორმაციული შეხვედრები.**

**სასიამოვნოა მოსწავლეებთან რამდენიმე საათის გატარება. ვპირდებით, წინ კიდევ ბევრი სიახლე ელის ჩვენი კლუბის წევრებს. დიდ მადლობას ვუხდით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს, დაწყებითი განათლების პროგრამის ხელმძღვანელს ქალბატონ ირმა ქურდაძეს, USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამას და ჩვენს გულისხმიერ ტრენერს ქალბატონ ირმა ხუნდაძეს, ასეთი შემეცნებითი და საინტერესო პროექტისათვის.**

**მარიამ პაპიძე,** VI კლასი, ბორჯომის №1 საჯარო სკოლა: **ჩვენს შეხვედრებს მოუთმენლად ველოდები, მადლობა ამ პროექტისთვის USAID-ს და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს, რადგან მოგვცა შესაძლებლობა ჩვენი სკოლის მოსწავლეებს აღნიშნულ პროექტში მიგვეღო მონაწილეობა. ყოველი შეხვედრა საინტერესოდ და შემოქმედებითადაა დატვირთული. აქ ვახდენთ ჩვენი შესაძლებლობების საზოგადოებისათვის გაცნობას. მადლობა ქალბატონ იზა იანვარაშვილს, ხატია და ნათია გვარამაძეებს, ამ აქტივობების შემოთავაზებისთვის.**

**ბარბარე გელაშვილი, IV** კლასი: **მინდა, პროექტი სულ იყოს და არდადეგებზეც გაგრძელდეს. ჩემი ზღაპარი ძალიან მოეწონათ და შემდეგ კიდევ დავწერე მოთხრობა, შეხვედრისას გავაცანი ჩემს მეგობრებს. მათ მიერ გამოგონილმა ზღაპრებმა ჩემი ყურადღებაც მიიქციეს. განსაკუთრებით მომეწონა გირჩების გაფერადება და საჩუქრად გადაცემა ოჯახის წევრებისთვის და ჩვენი სკოლისთვის. მალე ჩვენი გაფერადებული გირჩები სკოლის ნაძვის ხეს დაამშვენებს.**

სამომავლოდ, მოსწავლეებისთვის ვგეგმავთ დამატებით მასტერკლასებს, ჭადრაკისა და ხატვის გაკვეთილებს, პროფესიონალი მასწავლებლები მზად არიან პროექტის მოსწავლეებს შეხვდნენ და მათთან ერთად სასიამოვნოდ გაატარონ დრო.

მადლობა ამ შესაძლებლობისთვის, პროექტისთვის USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამას, ქალბატონ **ირმა ქურდაძეს, ირმა ხუნდაძეს** და არაჩვეულებრივ მასპინძელს ბორჯომის №1 საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ **ჯულიეტა ჯინჯოლავას.**

*მოამზადა*
***იზა იანვარაშვილმა***
*დაწყებითი განათლება,*
*III კურსი*

# „საოცნებო სტუდენტური წლების ჩემ მიერ განსაზღვრული არსი“

**ამბობენ,** ცხოვრებას საინტერესოს ოცნებების ახდენის შესაძლებლობა ხდისო. ვეთანხმები. ჩემთვის მიზნის არსებობაა მთავარი, მოტივაციას კი თავად ვქმნი. ცხოვრების ამ ეტაპზე ყველაზე მეტად მსურს, ისე წარვმართო საკუთარი სტუდენტური ცხოვრება, როგორზეც მიოცნებია. და მაინც, სადამდე შეუძლია ფანტაზიას ჰქონდეს გზა ფართო? როგორია სანუკვარი სტუდენტობა ანთებული გულებით გარემოცულ უნივერსიტეტში?

უფროსებისგან ხშირად მსმენია, რომ ადამიანის ცხოვრებაში სტუდენტური წლები საუკეთესოა. სწორედ ამიტომ, ყოველთვის მქონდა უამრავი გეგმა, რომლებსაც ამ, მართლაც, ჯადოსნური წლების განმავლობაში განვახორციელებდი. სტუდენტობა ხომ ის პერიოდია, როდესაც უკვე საკმაოდ დიდი ხარ საკუთარ ნაბიჯებზე პასუხისგებისთვის, რაც, თავისმხრივ, გულისხმობს დამოუკიდებლობას.

ჩემთვის, როგორც პირველკურსელისთვის, მომავალი უამრავი წარმატებითაა დახუნძლული. უკვე სულში მაქვს გამჯდარი ის კმაყოფილება, რომელსაც რჩეული პროფესიისკენ მიმავალი გზა განმაცდევინებს.

როგორი მინდა, იყოს თითოეული ჩვენგანის სტუდენტობა? ძალიან ფერადი, ყველაზე პოზიტიური და სრულად გამართლებული იმედებით აღსავსე!

მსურს, გაგიზიაროთ საოცნებო სტუდენტური წლების ჩემ მიერ განსაზღვრული არსი. უპირველესია თავისუფლების შეგრძნება. ამ პერიოდში არა მხოლოდ საკუთარ კარიერას



იწყობ, არამედ ეცნობი თანამოაზრეებს, ხდები სოციალურად აქტიური, იყალიბებ ცხოვრებისეულ ღირებულებებსა და ფასეულობებს. მაშასადამე, უნივერსიტეტში გატარებული ყველა დღე გამორჩეული და დასამახსოვრებელი უნდა იყოს თითოეული ჩვენგანისთვის.

ახლა აუცილებლად ვისაუბრებ ჩემს ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ თემაზე – ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთობაზე. ლექტორი უნდა იყოს სტუდენტისთვის საინტერესო მაგალითი, რეკომენდატორი და გულითადი მეგობარი. პირველკურსელობის მცირე პერიოდში ნამდვილად განმაცდევინებს დიდ სიხარულს ის ფაქტი, რომ არაჩვეულებრივი დამოკიდებულების მომსწრე ვარ სტუდენტსა და ლექტორებს შორის. ამიტომ, ბუნებრივია, თამამად ვიტყვი, რომ საოცნებო სტუდენტური ცხოვრებისკენ ერთი დიდი ნაბიჯი უკვე გადადგმული მაქვს.

გარდა ამისა, ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია მეგობრული გარემოს არსებობა, თავს იყრის უამრავი იდეა, საინტერესო ინიციატივები, რაც, თავის მხრივ, ზრდის მოტივაციას და აუმჯობესებს სწავლის ხარისხს. თითოეულ ჩვენგანს სჭირდება მეგობარი, ადამიანი, რომელიც მხარს დაუჭერს, გაამხნევებს, მასთან ერთად გადადგამს ყველა თამამ ნაბიჯს, სტიმულს მისცემს, ემოციას გაუზიარებს და ასე შემდეგ. თუმცა, ამ ურთიერთობას სჭირდება ყველა ჩარჩოს მიღმა არსებობა, რის საშუალებასაც, სამწუხაროდ, პანდემია არ გვაძლევს. დღეს ნამდვილად მოკლებულნი ვართ იმ სიამოვნებას, რასაც ძვირფასი ადამიანის გულთბილი ჩახუტება ჰქვია.

არ იქნება გასაკვირი, თუ ვიტყვი, რომ საოცნებო სტუდენტობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი აუდიტორიული სწავლებაა. ვიმედოვნებ, რომ ერთ დღეს, სჯუნის უმშვენიერესი ეზო ისევ იქნება სტუდენტობის საყვარელი თავშეყრის ადგილი, კვლავ შევძლებთ, გულღია და წრფელი ადამიანების სიცოცხლით სავსე ღიმილი ვიხილოთ. წარმოგიდგენიათ?! საათობით ვსხედვართ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და განვიხილავთ მომავალი დღის გეგმებს; უამრავი სამუშაო გვაქვს, თუმცა, არ ვწუხვართ, ერთად უკეთ შევძლებთ! ირგვლივ სიცოცხლე ჩქეფს, ყველა ბედნიერია, მათ შორის, მეც...

ღმერთო, რას აღარ მისვწდება ხოლმე გულით ოცნების მატარებელი ადამიანის ფიქრი...

*რიმა სუდაძე*
*ქართული ფილოლოგიის სპეციალობის I კურსი*



# მარიამ ხმალაძე ERASMUS+ -ის გაცვლითი პროგრამის მონაწილეა

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის II კურსის სტუდენტი, მარიამ ხმალაძე – ERASMUS+-ის გაცვლითი პროგრამის საერთაშორისო მობილობის მონაწილეა.

მარიამმა პოლონეთის ლოძის უნივერსიტეტში მოიპოვა ერთი სემესტრით სწავლის გაგრძელების უფლება. აღნიშნული პროექტის გრანტის მოპოვება ისეთი სიდიდის უნივერსიტეტში, როგორიც ლოძის უნივერსიტეტია, მარტივი არ არის. მან ეს შეძლო.

მარიამი მიმდინარე წლის 22 თებერვლიდან გაემგზავრება უცხოეთში. აღსანიშნავია, რომ ყოველ თვეში, სტიპენდიის სახით, იგი მიიღებს 800 ევროს.

წარმატება ვუსურვოთ მარიამს!

# პოეზია



**ნინო ბერიძე**
**ქართული ფილოლოგიის სპეციალობის III კურსი**

* * *

იმდენად დავეცი, ნამსხვრევები ვერ შევიბნიე,
შეკოწიწება ვერ გავბედე ბედის სარკისა,
მე ეს ცხოვრება, ხო, უბრალოდ ვერ შევიმჩნიე
და დავიჯერე მოჭორილი ყოფა ზღაპრისა!
მე ვერ გავბედე, ვერც ჭრილობა ვერ ვიმკურნალე,
ასე უეცრად მომეკვეთა ძალა ფეხებში.
ბევრი ვეცადე, თუმცა, მარცხი მე ვერ დავმალე,
მით სისხლი არა, მარცხი მოჩქეფს ჩემსვე ვენებში.
მწვერვალს, დახატულს, გორა სჯობდა ამ გულში, იცით
და, რად გავტეხე ეს სიტყვები, არ მესმის, ღმერთო;
იცი? რამდენჯერ, ხო, მიბედავს ბოქლომურ ფიცით,
დღეს კი უკულმართს რა მეწია, რა ჭკვა ალმენთო?
ღმერთო, შეშლილი, ზღვარგამცდარი, ჭკუაწამცდარი,
როდემდე უნდა ევნოს, ეცვას ჯვარზე ცოდვებით
და ეს ისარი, ეს ისარი, მაინც ამცდარი,
რად არ გამერჭო კანონით და თვისი დოგმებით?!
ისევ ნამსხვრევი, ისევ მსხვრევა, ისევ არარა!..
მაინც არ მესმის ამ ცხოვრების აზრი, მთავარი.
უნდა წავიდე, გადავლახო ზღვები, აბა, რა,
უნდა გამოვყო ერთურთისგან, ღმერთო, მთა-ბარი.

* * *

მახსოვს, პირველად რომ დაგინახე,
უკანასკნელი შეხვედრაც მახსოვს,
ჩემ და შენ შორის სივრცე ჩამდგარა,
ობობა მასში კი ბადეს აქსოვს...
მახსოვს, პირველად რომ გამიცინე,
უკანასკნელი ღიმილიც მახსოვს
და გაბრაზება? მაგას ვინ იტყვის?!
ჩემს გულს ეგ სიტყვა შენგან არ ახსოვს!
ცისარტყელები დავთვალეთ ერთად,
შვიდივე ფერი მეფობდა ღმერთად.
კავკასიონის ჯაჭვივით ქროდა...
დროს გავეყინეთ ან სიცხით თოვდა
და შენს თვალებში დაქროდა ცეცხლი,
ბრძნად მეტყველება გამხდარა ვერცხლი,
თუმც შენს თვალებში ვხედავდი სითბოს;
ოქროს დუმილი ვარჩიე თითქოს.
მახსოვს, პირველად რომ დაგინახე,
უკანასკნელი შეხვედრაც მახსოვს...
ჩემ და შენ შორის სივრცე ჩამდგარა
და ამ სივრცეში ობობა რას ქსოვს?..

* * *

თუ აღარ მომწერ, იქნებ სადმე გადავმთიელდე,
ბრმა ბილიკები გავიყვანო მზისფერ მხარეში.
განა ლირი ვარ – სამძიმარი და მარტოხელა,
ღმერთ და კაცთაგან შენაძული მე ვარ, არესი!
საკუთარ მეებს გავუმართე ბრძოლა, კორიდა,
აფროდიტული სული დამრჩა ტყვეს ხელადაში,
დაღლილ ხელებით გელოდები ლაკონიიდან.
თუ აღარ მომწერ, იქნებ ცეცხლის ენები ვანთო,
ტყეს ხანძარივით წავუკიდო ჩემი ვნებები?
მე ყოველ დილით მზეს ვიხედებ დამწვარ თვალებში,
რომ ამომიშროს ცრემლები და კი არ ვნებდები?!
შეძლებს ოდესღაც მხურვალება რუთა დაშრობას
და აპრილების მზიურ წალკოტს დავესახლები.
თუ აღარ მომწერ... ჩემს ფიქრებში შეგახებ ხელს და
პოეზიაში გაქვავებულ ეპითეტად დამეცალები.
რა ვქნა, ძვირფასო? ქალი ვარ და მიდუღს აპრილი,
სიყვარული და ომი არის ჩემი სამშობლო,
ჩემი ქორწილიც სულ სხვანაირ ნაყოფს მოიტანს,
რადგანაც ვიღწვი, ძვირფასო, რომ ჩემში ცა ვშობო.

* * *

ახლაც ოთახში ვარ, როგორც წინათ ვიყავ,
ტყვე და სატყვეური მაინც არ იცვლება
და კვლავ ეს იმედი, როგორც სატყუარა,
ანუ სადღაციდან მკრთალი ალი ძვრება.
მე კი, როგორც ბავშვი, როგორც მეოცნებე,
ვზივარ ფანჯარასთან (ჩემი წარმოსახვის),
ხელში გაკოკრილი ჩიტი მიმაქანებს,
თუმცა მე წარვმართავ ამავ ჩიტის აღვირს;
მაინც ოთახში ვარ, როგორც ასი წლის წინ,
ხანი შეიცვლება – მე კვლავ აქ ვიქნები,
ალვის ნორჩი ტოტი, გულ-ღვიძლ გამოჭმული,
ყოველ ტყვეობაზე უცხოდ აღვიქმები...
და მეც მავიწყდება მიზნის მიღწევამდე,
რომ ის მკრთალი ალი მხოლოდ სანათია,
ჩიტი და აღვირი, გზისკენ განსაზღვრულის,
თავის მოტყუება, თავის ღალატია.
...იქნებ სანათია მაინც ყველაფერი,
იქნებ უჩვეულო ჩვეულებრივია,
იქნებ მიწის ფილტვებს ზეცის აღარ ესმის,
ვგავარ კანის შეცვლით მხოლოდ რეპტილიას.

# მიხეილ ჯავახიშვილის ანდერძი

# „ჩვენი დროის ათი მცნება“



**დიდმა ქართველმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა თავის 10 წლის შვილს – ქეთევან ჯავახიშვილს, ალბომში ჩაუწერა – „ჩვენი დროის ათი მცნება“.**

1. შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული წევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი.

2. შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი, შენი პირადი მეგობარი.

3. ყველაფერი, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი, შენს მამულს ეკუთვნის. შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი.

4. მიეცი მას წრფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს.

5. მაინც, მუდმივ მხოლოდ შენი თავის იმედი იქონიე. ისე იცხოვრე, ვითომ ამ ქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი.

6. განაგე თავი შენი და დაუმორჩილე გონებას შენი ჟინი, კერპი გული და ურჩი სურვილები.

7. გზის გაკვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით. ზარმაცობა, ცუღლუტობა, სიცრუე და სიყალბე ადამიანს ადრე თუ გვიან უეჭველად დაღუპავს.

8. სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარხარ, მშობლებს ყველაფერი დაუჯერე. იმათ შენთვის მხოლოდ სიკეთე უნდათ. ჯერჯერობით საკუთარ ჭკუას, ჟინს და გულის ზრახვას ნუ აჰყვები.

9. თავმოყვარეობა შეიძინე და თავის ფასი ისწავლე, მაგრამ ნუ გადააჭარბებ. არ გაამაყდე.

10. ბოლოს და ბოლოს, ყოველთვის სჯობს სამი რამ: პირველი – შრომა, მეორე – შრომა და მესამე – შრომა.

*შენი მოსიყვარულე მამა*
*მიხეილ ჯავახიშვილი*

*რედაქტორი*
**მარინე ზედელაშვილი**

*მისამართი*
ქ. ახალციხე, რუსთაველის 113
*ტელ.:* (+995) 22 890 400 191
*ტელ.:* 599 25 25 68
*ვებ-გვერდი:* www.sjuni.edu.ge